

1927 წლიდან თბილისის უნივერსიტეტი

21 ივნისი, 2024



№ 10 [2252]



ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

პატარები სხვადასხვა შეშინებით და გასართობ ღონისძიებაში ჩაერთნენ

16 გვ.

ახალი ამბები გაზეთს ესაუბრა თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ლაშა სალინაძე



2 გვ.

რა სადისერტაციო ნაშრომი წარადგინა გელა სანდოძემ?

ნაშრომის სამეცნიერო სიახლე უკავშირდება გარემოზე ზემოქმედების შეფასების გეოგრაფიული მახასიათებლების გამოვლენას

10 გვ.



18:00 საათის შემდეგ 30%-იანი ფასდაკლებაა

თსუ-ში კიდევ ერთი სტუდენტური კაფეტერია გაიხსნა

ახალი კაფეტერია თსუ-ს რექტორმა ჯაბა სამუშიამ და საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილემ ნოდარ პაპუკაშვილმა დაათვალიერეს. პროექტი ხორციელდება სტუდენტური მხარდაჭერის პოლიტიკის ფარგლებში.

2 გვ.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს ახალი დეკანი ჰყავს

3 გვ.



თსუ ქვეყნისთვის ისტორიულ მოვლენას გამოეხმაურა

მეორე კორპუსის შიდა ეზოში განთავსდა ეკრანი, საიდანაც ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს საფეხბურთო ეროვნული ნაკრების თამაშების პირდაპირი ტრანსლაცია ხორციელდება.



სტუდენტური ფურცელი

5-12 გვ.



კომპიუტერული თამაშების ფესტივალი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა

12 გვ.



თსუ-ს წიაღში ბიბლიის ძველი ქართული ტექსტების ციფრული დამუშავება და ელექტრონული გამოცემების მომზადება იწყება

13 გვ.



აიგო ჰიდრომეტრიული ხიდი, საიდანაც ჩატარდება მდინარე ვერეს წყლიანობის გაზომვები წყალდიდობების დროს

14 გვ.



gazeti.tsu.ge

თსუ-ში კიდევ ერთი სტუდენტური კაფეტერია გაიხსნა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის თსუ-ში ყოფილი ჩაის სახლის ტერიტორიაზე კვების ობიექტი გაიხსნა. ახალი კაფეტერია თსუ-ს რექტორმა ჯაბა სამუშიამ და საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილემ ნოდარ პაპუკაშვილმა დაათვალიერეს. პროექტი ხორციელდება სტუდენტური მხარდაჭერის პოლიტიკის ფარგლებში. თსუ-ს პირველი კორპუსის ეზოში გახსნილი თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კაფეტერია მომხმარებელს ჯანსაღ და მრავალფეროვან საკვებს სთავაზობს. 18:00 საათის შემდეგ კი 30-პროცენტაანი ფასდაკლება მოქმედებს სრულ პროდუქციაზე. თსუ-ს კაფეტერია, რომელშიც სტუდენტებიც არიან დასაქმებული, ძირითადად თსუ-ს 1-ელი, მე-2 და მე-6 კორ-



პუსების სტუდენტებსა და თანამშრომლებს ემსახურება. თსუ-ს კაფეტერიის ინფრასტრუქტურა სტუდენტებს სხვადასხვა აქტივობის

გამართვის შესაძლებლობასაც აძლევს. „საკმაო დატვირთვით მუშაობს ორივე კაფეტერია. ძალიან კმაყოფილები არიან როგორც სტუდენტები, ასევე, პერ-

სონალი. ფასები ნამდვილად არის სტუდენტური... ასეთი ფასები თბილისის მასშტაბით ძნელად მოსაძებნია. საკვების ხარისხიც საკმაოდ კარგია. მეც პირადად და ჩვენი თანამშრომლებიც აქტიურად ვსარგებლობთ ახალი კაფეტერიაში და ვიმედოვნებთ, რომ მომავალში კვების ობიექტებს სხვა სივრცეებშიც გავხსნით. მალე პირველი კორპუსის კაფეტერიის მიმდებარე ტერიტორიაზე, შიდა ეზოში ზაფხულში გარკვეული სამუშაოები ჩატარდება, რის შემდეგაც ეს სივრცე უფრო მიმზიდველი იქნება“, – აღნიშნავს თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ლაშა სალინაძე. სტუდენტებისთვის პირველი კვების ობიექტი 2023 წელს თსუ-ს მე-10 (მაღლივ) კორპუსში გაიხსნა, რომელიც მაღლივის, მე-11 კორპუსის (განივის), ასევე ბიბლიოთეკის სტუდენტებსა და თანამშრომლებს ემსახურება.

ქრონიკა



თსუ-ს რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი – საქართველოს მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში – „საქართველოს უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია“ – მიიღო მონაწილეობა. „ინტერნაციონალიზაციის პროცესი უნივერსიტეტებს აძლევს სრულიად ახალ შესაძლებლობებს, ახალ მიმართულებებს, რომელიც ცვლის უმაღლესი სკოლის ფილოსოფიას. ამ თანამშრომლობის სასიკეთო შედეგები უკვე საკმაოდ დიდი და მნიშვნელოვანია. ვფიქრობ, რომ ეს ურთიერთობები კიდევ უფრო უნდა განვითარდეს და მეტად ვიზრუნოთ საერთო პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაზე. ჩემთვის საამაყოა, რომ თსუ პირველი იყო, რომლის პროგრამებმაც მიიღო ABET აკრედიტაცია“, – განაცხადა ჯაბა სამუშიამ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ამერიკისა და ევროპის მასშტაბით 195 უნივერსიტეტთან თანამშრომლობს. ამ ეტაპზე უნივერსიტეტში 23 ინგლისურენოვანი პროგრამა ხორციელდება, რომლებიც შემუშავებულია უცხოელ პარტნიორებთან ერთად.



ლოში კომპიუტერული მეცნიერებების შესწავლით ბევრი უცხოელი სტუდენტია დაინტერესებული.



გაცვლა და მეცნიერების ადმინისტრირება იყო.



ნამშრომლობის მნიშვნელობას ისტორიკოსების, ეთნოლოგებისა და ანთროპოლოგების მონაწილეობით. ლონსიძების განხილავს უნგრეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ანა მარია შიკო, თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი ნანა გაფრინდაშვილი, უნგრეთის კულტურული მემკვიდრეობის სახლის, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები, პროფესორები, სტუდენტები და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ პარი-საკლეს ჯგუფის წევრი უნივერსიტეტის დელეგაციასთან სამუშაო შეხვედრა გამართა. შეხვედრაზე მხარეებმა ფრანგულ-ქართული პროგრამის – „კომპიუტერული მეცნიერება“ – სამაგისტრო საფეხურზე სწავლების შესახებ იმსჯელეს, რომელსაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი პარი საკლეს უნივერსიტეტთან და პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთად განახორციელებს. როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ჯაბა სამუშიამ ფრანგ კოლეგებთან აღნიშნა, კომპიუტერული მეცნიერებების მიმართ ახალგაზრდების დიდი ინტერესია. საქართვე-

თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის არქეოლოგიის სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის ორგანიზებით, ვარძიის სამონასტრო კომპლექსში ახალგაზრდა არქეოლოგთა მე-15 საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა. თსუ-ს სტუდენტებთან და პროფესორებთან ერთად მასში ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის, ოქსფორდის, ინსბრუკის, ედინბურგის, მასარიკის, ჩიკაგოს, მარტინ ლუთერის სახელობის ჰალეს და ბოხუმის რურის უნივერსიტეტების, სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტისა და გერმანიის სამთო მუზეუმის ახალგაზრდა არქეოლოგები და მეცნიერები მონაწილეობდნენ. აქ წარმოდგენილი მოხსენებები ემყარება ახალგაზრდა მონაწილეთა ინდივიდუალურ, გამოუქვეყნებელ სამეცნიერო უკვლევებს ნეოლითიდან მოყოლებული გვიან შუასაუკუნეების ჩათვლით. ვარძიის ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია ხელს უწყობს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელ ახალგაზრდა არქეოლოგთა შორის კონტაქტების დამყარებას, მათი კვლევების პოპულარიზაციას მსოფლიო სამეცნიერო ბაზარზე და, შესაბამისად, ქართველი სტუდენტ-არქეოლოგების საერთაშორისო სივრცეში ინტეგრაციას.

უნივერსიტეტების შესაძლებლობების განვითარების პროგრამის (UCBP) ფარგლებში თსუ-ს რექტორის მოადგილე ერეკლე ასტახიშვილი ორკვირიანი სამუშაო ვიზიტით ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფებოდა. ვიზიტის მიზანი ამერიკული უნივერსიტეტების გამოცდილების გაცნობა, ახალი პარტნიორების მოზიდვა, ერთობლივი სამეცნიერო პროექტების შექმნა, სტუდენტების

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საკუთარი სტენდით წარსდგა ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველწლიურ საერთაშორისო გამოფენაზე, რომელიც ნიუ ორლეანში განათლების საერთაშორისო ასოციაციის (NAFSA) ორგანიზებით გაიმართა. გამოფენაზე სტენდით თსუ-ს რექტორის მოადგილემ ერეკლე ასტახიშვილმა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ხელმძღვანელმა თეა გერგედავამ წარმოადგინეს. თსუ-ს თანამშრომლებმა 40-მდე შეხვედრა გამართეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებთან, სადაც საუბარი შეეხო პარტნიორ უნივერსიტეტებთან არსებული ურთიერთობების გაფართოებას, ახალი პარტნიორების მოძიებასა და ორმხრივი ხელშეკრულებების გაფორმებას, სხვადასხვა უნივერსიტეტთან ერთობლივი პროგრამებისა და პროექტების განხილვას, სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მობილობის ხელშეწყობას.

თსუ-ს რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და კვლევის გამოწვევები 21-ე საუკუნეში“ გახსნა, რომელშიც კულტურული მემკვიდრეობის პრობლემით დაინტერესებულმა ქართველმა და უნგრელმა მეცნიერებმა მიიღეს მონაწილეობა. თსუ-ს რექტორმა ჯაბა სამუშიამ იმ გამოწვევებზე ისაუბრა, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის, განსაკუთრებით, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წინაშეა. მან, ასევე, ხაზი გაუსვა ამ კუთხით სამეცნიერო დისკუსიებისა და საერთაშორისო თა-

თსუ-ს რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ ნიდერლანდების სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩთან საქართველოში მელინე არაკელიანთან სამუშაო შეხვედრა გამართა. მხარეებმა შეხვედრაზე თსუ-სა და ნიდერლანდების სამეცნიერო წრეების წარმომადგენელთა ერთობლივი სამეცნიერო პროექტების განხორციელებაზე, მათ შორის, ქართველი და ნიდერლანდელი სამეცნიერო ჯგუფების HORIZON პროექტებში ერთობლივ მონაწილეობაზე იმსჯელეს. „ჩვენი პროფესორები ლაიდენის უნივერსიტეტში ასწავლიან ქართულს. ეს თანამშრომლობა ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია და გვსურს, რომ ურთიერთობები კიდევ უფრო გავაღრმავოთ და გავაფართოოთ“, – განაცხადა ჯაბა სამუშიამ. თსუ-ს რექტორთან საუბრის შემდეგ ნიდერლანდების ელჩმა სტუდენტებთან შეხვედრა გამართა. ცნობისთვის, ნიდერლანდების სამეფოს ელჩის, ქალბატონი მელინე არაკელიანის ვიზიტი სტუდენტებთან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და „საქართველოს ახალგაზრდა დიპლომატთა კლუბის“ თანამშრომლობით გაიმართა.

საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი



თსუ-ში მიმდინარე პროცესებზე კანცლერი საუბრობს



61600 აააუალია

თსუ-ს ხელმძღვანელობა სტუდენტებთან პერიოდული შეხვედრებისა და გამოკითხვების ჩატარების შემდგომ სამოქმედო გეგმას ადგენს და მრავალი მიმართულებით ცდილობს პრობლემების გადაჭრასა თუ სიახლეების დაწესებას. სწორედ ამ კუთხით სვამს აქცენტებს თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ლაშა სალინაძე ჩვენს სტატიასში.

ინფრასტრუქტურული სიახლეები

ივლისის დასაწყისში პირველი და მეორე კორპუსის უკან მდებარე ტერიტორიაზე ახალი სასწავლო-ადმინისტრაციული კორპუსის პროექტთან დაკავშირებით უკვე გამოვლინდება გამარჯვებული და შემდგომ დაიწყება გამარჯვებულ კომპანიასთან ერთად საპროექტო სამუშაოები.

უახლოეს დროში ეკონომიკის ინსტიტუტისა და პროფესიული განათლების ცენტრის ახალ შენობასთან დაკავშირებით დასრულდება საპროექტო სამუშაოები. ეს შენობა განთავსდება მაღლივი (მე-10) კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე. ამავე შენობაში მოეწყობა 25 მეტრიანი სივრცის საცურაო აუზი, რომელიც მოემსახურება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებსა და თანამშრომლებს. დაგეგმილია უნივერსიტეტის

მეთე კორპუსის ცენტრალური კიბის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ასევე გარკვეული სივრცეების შიდა სარემონტო სამუშაოები.

ამჟამად მიმდინარეობს მე-5 და მე-3 სასწავლო კორპუსების ეზოების კეთილმოწყობა. ახალი სასწავლო წლისათვის სტუდენტებისა და პერსონალისათვის ამ კორპუსებში გვექნება განახლებული გარემო ძალიან ლამაზი სივრცეებით. ამასთან, მე-5 კორპუსში შიდა სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს, კერძოდ, სივრცის იმ ნაწილის, რომელსაც ყველაზე მეტად სჭირდებოდა ხელის შევლა.

ე.წ. კაპაყოფილების კვლევის შედეგები

თსუ ავტორიზაციის ეტაპს გადის. ეს ძალიან მნიშვნელოვანი პროცესია, სადაც ჩართულნი არიან როგორც სტუდენტები, ასევე აკადემიური პერსონალი და ადმინისტრაციის თანამშრომლები. ჩვენ იმედიანად ვართ განწყობილი, რომ წარმატებით გავივლით ამ პროცესს. ამ საკითხზეა სწორედ მიბმული ის კვლევები, რასაც ჩვენ პერიოდულად ვახორციელებთ როგორც სტუდენტებში, ასევე, თანამშრომლებში. ე.წ. კაპაყოფილების კვლევების მონაცემებს ჩვენ ვამუშავებთ, რის საფუძველზეც ვიგებთ – თუ რა ანუხებთ სტუდენტებს, რის გაუმჯობესებას ისურვებენ ისინი... სწორედ ამ კვლევების შედეგებიდან გამომდინარე უკვე ვაგვხსენით

ორი კვების ობიექტი, განხორციელდა მრავალი ინფრასტრუქტურული სამუშაო და უნივერსიტეტის კორპუსებში მოეწყო არაერთი სტუდენტური სივრცე. გამოკითხვებისას ხშირად იყო საუბარი LMS.TSU.GE-ს პრობლემებზე, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ ბაზაზე. შესაბამისად, შეიქმნა ახალი თანამედროვე სისტემა (Uni.tsu.ge), რომელიც ეტაპობრივად უფრო იხვეწება. ამ მიმართულებით პრობლემები მალე თითქმის აღარ გვექნება.

ჩვენ ვფიქრობთ იმ სხვა პრობლემების აღმოფხვრისთვისაც, რა პრობლემებსაც აყენებენ თსუ-ს სტუდენტები. ყველაფერს გეგმაზომიერად მიყვებით და ვახორციელებთ სამუშაოებს.

იმედა თუ არა შესაძლებელი მომავალ წლებში ხელფასის ზრდის ტენდენციის შენარჩუნება?

თებერვლის თვიდან განხორციელდა შრომის ანაზღაურების ზრდა აკადემიური პერსონალის მიმართულებით, ხოლო იანვრის თვიდან – სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში. აკადემიური პერსონალისთვის ხელფასის მატება სამოქმედო გეგმის ნაწილია, რისი საბოლოო შედეგიც იქნება ის, რომ მაქსიმალურად დაახლოვდეს თსუ-ს ფაკულტეტებზე აკადემიური პერსონალის ანაზღაურება. როგორც ვიცით, მრავალი წლის წინ მიღებულ იქ-

ნა გადაწყვეტილება და სხვადასხვა ფაკულტეტზე განსხვავებულია ანაზღაურება. ბოლო წლების განმავლობაში ჩვენ აქტიურად ვცდილობთ, რომ ეს სხვაობა მაქსიმალურად შევამციროთ. სხვაობის სრულად შემცირებას, მოგეხსენებათ, დიდი ფინანსური რესურსი სჭირდება. ადმინისტრაციული პერსონალის მიმართულებითაც ხელფასების მატება 2020 წელს განხორციელდა, მიმდინარე წლის მარტიდანაც აღნიშნული მატება შეეხო უნივერსიტეტის თანამშრომლებს (რიგ შემთხვევებში 10-15%-ით მოხდა მატება). ვიმედოვნებთ, რომ მომავალ წლებში ამ ტენდენციის შენარჩუნება შესაძლებელი იქნება.

ამჟამად სასწავლო პროცესი სრული დატვირთვით მიმდინარეობს

გარკვეული პერიოდის განმავლობაში სტუდენტთა ნაწილი ლექციებს მიზეზთა გამო არ ესწრებოდა. აღნიშნულთან დაკავშირებით უნივერსიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება და სემინარებისა თუ საგამოცდო პროცესების მიმართულებით ჩვენ მივეცით შესაძლებლობა სტუდენტებს, რომ შემდგომი კვირების განმავლობაში გაცდენილი სემინარები და გამოცდები აღედგინათ. ამ მიმართულებით სტუდენტებს პრობლემა უნივერსიტეტის მხრიდან არ შექმნიათ. ამჟამადაც სასწავლო პროცესი სრული დატვირთვით მიმდინარეობს.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს ახალი დეკანი ჰყავს

61600 აააუალია

პროფესორი დარეჯან თვალთვაძე თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის პოზიციაზე საქმიანობას 20 ივნისიდან შეუდგა. დარეჯან თვალთვაძე ახლო წარსულშიც ხელმძღვანელობდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს და ამდენადაა მისი წვლილი განუზომელი ამ ფაკულტეტის მრავალმხრივი განვითარების საქმეში. მან დეკანის პოსტზე ორი ვადით არჩეული, პროფესორი ნანა გაფრინდაშვილი შეცვალა, რომელიც მაღლობით გაცილეს. დარეჯან თვალთვაძე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი იყო 2006-2015 წლებში. მისი კვლავ არჩევა დეკანის პოზიციაზე კოლეგებისა და მეცნიერ-თანამშრომლებისთვის მშვიდობიანი და საქმიანი გარემოს შექმნის წინაპირობად შეიძლება მივიჩნიოთ, რასაც დრო აჩვენებს.

„უნივერსიტეტში სხვადასხვა ადმინისტრაციულ თანამდებობაზე მუშაობისას საკმაოდ დიდი გამოცდილება დამიგროვდა, ბოლო წლებში ადმინისტრაციული სამსახურიდან დისტანცირებამ საშუალება მომცა – სხვა კუთხიდან (გარედან) შემეხედა და შემეფასებინა დეკანატის მუშაობის ეფექტიანობა, დამენახა ის, რასაც შიგნიდან ვერ ხედავ, ან სხვანაირად აღიქვამ. ამიტომაც, ჩემი გადაწყვეტილება – კვლავ მეყარა კენჭი ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე ამ გამოცდილებებით, ფაკულტეტზე ზრუნვითა და



ფაკულტეტისათვის მნიშვნელოვანი საქმიანობის კეთების სურვილით იყო გამოწვეული. ფაკულტეტის განვითარების კონცეფცია, რომელიც ფაკულტეტის საბჭოს, როგორც დეკანობის კანდიდატმა, წარუდგინე, უნივერსიტეტის მისიასთან და თსუ-ს განვითარების სტრატეგიულ გეგმასთან ერთად, ეფუძნება არსებული ვითარების ანალიზს და ფაკულტეტის განვითარების ჩემეულ ხედვას.

უახლოესი ოთხი წლის განმავლობაში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტრატეგიული პრიორიტეტები უნდა იყოს: 1. ფაკულტეტის სწრაფი და მდგრადი განვითარება და რეგიონში წამყვან სამეცნიერო-საგანმანათლებლო კერად გადაქცევა; არსებული სამეცნიერო-სკოლებისა და პროგრამების ხელშეწყობის პარალელურად ახალი დარგების, თანამედროვე ტექნოლოგიების, სწავლებისა და კვლევის ინოვაციური მეთოდების დანერგვა. 2. საერთაშორისო ასპარეზზე

უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიმაჩნია პროფესორთა შრომის ანაზღაურების სისტემის სრულყოფა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ამ საკითხის გადასაჭრელად მჭიდრო თანამშრომლობის გაგრძელება.

ფაკულტეტის პოზიციების გამყარება; კვლევის შედეგების ინტერნაციონალიზაცია და საერთაშორისო ცნობადობის გაზრდა; 3. საგანმანათლებლო საქმიანობაში ინოვაციური მიდგომების დანერგვა და მეცნიერული კვლევის შედეგების სასწავლო პროცესში ინტეგრირება; თანამედროვე ევროპული სტანდარტების შესატყვისი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა/განახლება; კლასიკური და უახლესი ცოდნის/მიღწევების სინთეზი; სწავლა-სწავლების ახალი მეთოდებისა და ფორმების ძიება (მათ შორის, ელექტრონული/დისტანციური და შერეული ფორმებისა); უცხო ენების დაუფლების შესაძლებლობის გაზრდა, ინგლისურენოვანი სასწავლო კურსების/მოდულების/პროგრამების შეთავაზება სტუდენტებისათვის; ციფრული ტექნოლოგიების ფართოდ გამოყენება სწავლებაში. 4. სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნა; ადამიანური რესურსე-

ბის განვითარება; მაღალკვალიფიციური კადრების გადინების არიდება; ინოვაციური ცოდნის შექმნასა და სასწავლო პროცესში დანერგვაზე ორიენტირებულ მკვლევართა ახალი თაობების მოზიდვა/მომზადება; დოქტორანტების აქტიური ჩართვა ფაკულტეტის სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობაში; ახალგაზრდა მეცნიერების (პოსტდოქტორანტების) უნივერსიტეტთან აფილირების მხარდაჭერი პროექტების განხორციელება. პროფესორ-მასწავლებელთა მოტივაციის გაზრდისა და ნახალისების მექანიზმების შემუშავება, დამსახურებულ პროფესორთა ღვაწლის ღირსეული დაფასება, აკადემიური კორპუსის ახალი კადრებით შევსება. 5. ორგანიზაციული და მმართველობითი სისტემის შემდგომი სრულყოფა; აკადემიური პერსონალისათვის, მკვლევარებისათვის, სტუდენტებისათვის სწავლის, სწავლებისა და კვლევისათვის კომფორტული გარემოს შექმნა. ასევე, უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიმაჩნია პროფესორთა შრომის ანაზღაურების სისტემის სრულყოფა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ამ საკითხის გადასაჭრელად მჭიდრო თანამშრომლობის გაგრძელება, რათა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორის ხელფასების ოდენობა გაუთანაბრდეს მაღალანაზღაურებადი ფაკულტეტების პროფესორის ხელფასს, – ასეთია დარეჯან თვალთვაძის ხედვა. მისი სამოქმედო გეგმის ვრცლად ნახვა შესაძლებელია უნივერსიტეტის გაზეთის ვებ-გვერდზე – gazeti.tsu.ge.



პანელური დისკუსია - კვლევის ინტერნაციონალიზაცია - მიღწევები, გამოწვევები, პერსპექტივები

თამარ ღალიანი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საუნივერსიტეტო კვლევების ინტერნაციონალიზაციაზე, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის საერთაშორისო მიღწევებზე, გამოწვევებსა და პერსპექტივებზე პანელური დისკუსია გაიმართა.

ლონისძიებაზე საერთაშორისო პროექტებში მონაწილე თსუ-ს მეცნიერებმა უცხოელ კოლეგებთან ერთად მიმოიხილეს ერთობლივი საერთაშორისო პროექტები, აქტუალური სამეცნიერო თემატიკა და შეაფასეს ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით არსებული გამოწვევები.

პანელურ განხილვაში მონაწილეობდნენ ბირთვული კვლევების ევროპული ორგანიზაციის (CERN) დიდ ადრონულ ამჩქარებელზე (LHC) მიმდინარე ATLAS ექსპერიმენტში ჩართული თსუ-ს მაღალი ენერჯიების ფიზიკის ინსტიტუტის (თსუ მეფი) ფიზიკოსები და მათი კოლეგები CERN-იდან. მათ მიმოიხილეს ATLAS სამეცნიერო კოლაბორაცია-საქართველოს კლასტრის საქმიანობა CERN-ის ATLAS ექსპერიმენტში.

ATLAS (A Toroidal LHC AparatuS) ექსპერიმენტი წარმოადგენს პროექტს ფუნდამენტური გამოკვლევების სფეროში, რომელიც იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიების უახლეს მიღწევებს სამყაროზე ჩვენი წარმოდგენების კვლევისა და მათი გაფართოების მიზნით. ATLAS ექსპერიმენტი ერთ-ერთია იმ 4 ძირითადი ექსპერიმენტიდან, რომლებიც ხორციელდება CERN-ში დიდ ად-

რონულ ამჩქარებელზე. ღონისძიებაზე ასევე განიხილეს KM3NeT – საერთაშორისო სამეცნიერო პროექტი ხმელთაშუა ზღვაში. KM3NeT ნეიტრინული ფიზიკის და ასტროფიზიკის საერთაშორისო სამეცნიერო პროექტია, რომელსაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერჯიების ფიზიკის ინსტიტუტი 2017 წელს შეუერთდა. თანამშრომლობის მიზანია ხმელთაშუა ზღვის ფსკერზე განლაგოს ნეიტრინული დეტექტორები, რომელთა საშუალებით შესაძლებელი იქნება კვლევების ჩატარება ნეიტრინულ ფიზიკასა და ასტროფიზიკაში.

KM3NeT პროექტის ინსტიტუტების საბჭოს თავმჯდომარის, პროფესორ ულრიხ კაცის თმით, ქართველი მეცნიერების და სტუდენტების კონტრიბუცია KM3NeT პროექტში ძალიან დიდია. „ჩვენ მზად ვართ, მხარი დაუჭიროთ ნებისმიერ სამომავლო სამეცნიერო თანამშრომლობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან“, - აღნიშნა პროფესორმა ულრიხ კაცმა.

პანელურ დისკუსიაზე ასევე იმსჯელეს პროექტზე „ქართულ-გერმანული სამეცნიერო ხიდი – GGSB/GGSB-PLUS“. GGSB-ის თანამშრომლობა აკავშირებს ორივე ქვეყნის მეცნიერებსა და სტუდენტებს საერთო კვლევითი პროექტებით და უნივერსიტეტებში განათლების გზით, რითაც ხელს უწყობს ქართულ-გერმანულ სამეცნიერო და კულტურულ ურთიერთობებს.

ლონისძიებაზე, ასევე, ისაუბრეს საზღვარგარეთ ქართველოლოგიური ცენტრების სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაზე და იმ ღონისძიებაზე, რაც



„დევეანდელ ღონისძიებაზე წარმოდგენილია საერთაშორისო პროექტები, რომლებშიც ჩართული არიან ჩვენი მეცნიერები“ - აღნიშნა ვიცე-რექტორმა ერეკლე ასტახიშვილმა



დამყარება, სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების საერთაშორისო სივრცეში ინტეგრირების ხელშეწყობა და უნივერსიტეტის საერთაშორისო აღიარების მოპოვებაზე ზრუნვა მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. ამ მხრივ, დიდ მნიშვნელობას იძენს საერთაშორისო სამეცნიერო კოლაბორაციები, რომელთა ფარგლებშიც განხორციელებული კვლევები ხელს უწყობს უნივერსიტეტებისა და ქვეყნის სამეცნიერო ხილვადობის გაზრდასა და ახალი შესაძლებლობების გაჩენას.

ქართულ-ოსური თანამშრომლობის შედეგი – ნაირა ბეპიევის ახალი წიგნი

11 ივნისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორ ნაირა ბეპიევის ახალგამოცემული წიგნის – „ოსური წიგნის ბიბლიოგრაფია“ – პრეზენტაცია გაიმართა. ღონისძიებას ორგანიზება გაუწია თსუ-ს ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითმა ცენტრმა, რომელიც 2015 წელს ჩამოყალიბდა და რომელსაც დაარსების დღიდანვე ნაირა ბეპიევი ხელმძღვანელობს.

„ოსური წიგნის ბიბლიოგრაფია“ პირველი გამოცემაა და ის აერთიანებს 1798 წლიდან დაბეჭდილ როგორც წიგნებს, ასევე საარქივო მასალებს, სხვადასხვა ავტორის შრომებსა და სტატიებს. წიგნი მულტილინგვისტურია. მასში, ოსურად დაწერილ მასალებთან ერთად, ვხვდებით ორენოვან წიგნებსა და ნაშრომებს, ქართულ და სხვა ენებზე დაწერილ ტექსტებს. ზემოთ ჩამოთვლილი მასალები კი, რომლებშიც ასახულია ოსი ხალხის ისტორია, კულტურა თუ ლიტერატურა, დალაგებულია ქრონოლოგიურად.

წიგნი მნიშვნელოვანია იმიტომაც, რომ ის ქართველ და ოს მეცნიერთა ურთიერთთანამშრომლობის შედეგია და მასში შესულია დღემდე მიუწვდომელი, 1990 წლის შემდეგ ცხინვალსა და სხვა ქალაქებში ოსი ავტორების მიერ გამოცემული წიგნები.

წიგნი კარგი გზამკვლევი იქნება იმ მეცნიერ-მკვლევართათვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან „ოსური წიგნის ბიბლიოგრაფიაში“ წარმოდგენილი ნაშრომებით.

„წიგნში თავმოყრილია მრავალი საინტერესო მასალა. ამ გამოცემის ფარგლებში ჩვენ ოს მეცნიერებთან ვითანამშრომლებთ. შესაბამისად, გვაქვს ისეთი მასალებიც, რომლებიც საქართველოში აქამდე არ გვქონდა. ყოველივე ხელს უწყობს ქარ-



ერთგვარი სიახლეა, რომ წიგნს ერთვის საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის აღწერილობის ხელნაწერი ოსური წიგნების ფოტობარათები.

თულ-ოსური ურთიერთობების გაღრმავებას. ჩვენ პერსპექტივაშიც გავაგრძელებთ მათთან მუშაობას და იმედი მაქვს, ეს ძალიან ნაყოფიერი იქნება“, - აღნიშნა ნაირა ბეპიევა.

წიგნი დაინტერესებს ოსური ენის, ლიტერატურის, ისტორიის, კულტურის, ეთნოგრაფიისა და სხვა დარგების შეს-

ნავლით დაინტერესებულ მეცნიერებს, სტუდენტებსა და ფართო საზოგადოებას. „ნიშანდობლივია, რომ ეს წიგნი საქართველოში და, კონკრეტულად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოიცა, რადგან სწორედ საქართველოდან და ქართულ-ოსური ლიტერატურული და მნიშვნელოვანი ურთიერთობიდან იწყება ოსური წიგნი. ამაში დიდი წვლილი მიუძღვით ქართველ მწიგნობრებსა და საზოგადო მოღვაწეებს, მაგალითად, გაიოზ რექტორს და იოანე იაღღუზიძეს... აღსანიშნავია, რომ მეოცე საუკუნის დასაწყისამდე 150 ოსური წიგნია გამოცემული და ამ საქმეს ერთად აკეთებდნენ ქართველები და ოსები. ესაა დიდი ტრადიცია და უნდა გაგრძელდეს 21-ე საუკუნეშიც. ერთგვარი სიახლეა, რომ წიგნს ერთვის საქართველოს პარ-

ლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის აღწერილობის ხელნაწერი ოსური წიგნების ფოტობარათები. ამ წიგნში გამოქვეყნებული ფოტო-კატალოგი ბევრი მკითხველისათვის საინტერესო საკვლევი მასალა იქნება“, - აღნიშნა წიგნის მთავარმა რედაქტორმა ნინო პოპიაშვილმა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ მეცნიერ-მკვლევრები და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები. მათთვის წიგნი კარგი გზამკვლევი იქნება შემდგომი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის.

„ჩემთვის, როგორც ეთნოგრაფისთვის, ეს გამოცემა იმითაა უფრო საინტერესო, რომ ის ძალიან დიდ როლს ითამაშებს ჩემს პროფესიულ განვითარებაში“, - აღნიშნა დამსწრე სტუდენტმა თიკა ჯიგოვამ, რომელიც თსუ-ს ეთნოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მეორეკურსელი გახლავთ.

აღსანიშნავია, რომ წიგნი გამოიცა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროგრამის ფარგლებში. აღნიშნული ცენტრი ახლო მომავალში გეგმავს მე-10 საერთაშორისო კონფერენციის ჩატარებას და მასში, ადგილობრივებთან ერთად, სხვა ქვეყნის წარმომადგენლებიც მიიღებენ მონაწილეობას.

დიტო ბაქაძე, აღნიშნული

თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ურუნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების სტუდენტი



1927 წლიდან

თბილისის უნივერსიტეტი



სტუდენტური ფურცელი



თსუ-ს სტუდენტებმა ბათუმში წარმოებულ მასშტაბურ მშენებლობებზე კვლევა ჩაატარეს

კვლევამ გამოავლინა პრობლემასთან ბრძოლის სხვადასხვა გზა

6 83.

ნიკოლოზ დევდარიანმა საზღვარგარეთ 5 წლიან სადოქტორო პროგრამაზე შეაჩერა არჩევანი

დეტალები იხილეთ სტატიაში

10 83.

რით არის გამოწვეული კიბერუსაფრთხოების სფეროში არსებული გენდერული უთანასწორობა

სტუდენტური კონფერენცია თსუ-ში გაიმართა

11 83.




გამოიცა ახალი სტუდენტური სამეცნიერო ჟურნალი – „ფილოლოგია“

მაია ბორაძე

სტუდენტური ფილოლოგიის კათედრის ხელმძღვანელმა, პროფესორმა მანანა რუსიშვილმა აღნიშნა, ჯერჯერობით ჟურნალში მხოლოდ თსუ-ს სტუდენტების ნაშრომებია გამოქვეყნებული, მომავალში კი სხვა უნივერსიტეტების სტუდენტებსაც ექნებათ სტატიების გამოქვეყნების შესაძლებლობა: „სტუდენტური ჟურნალის – „ფილოლოგია“ – გამოცემა ჩვენი კათედრის

ნამოწყებაა. ჩემთვის, როგორც კათედრის ხელმძღვანელისთვის, ძალიან მნიშვნელოვანია სტუდენტების უფრო ფართოდ ჩართვა სამეცნიერო კვლევებში, მათთვის გამოცდილების მიცემა და პირველი ნაბიჯების გამოტანა დღის შუქზე. უნდა აღვნიშნო ჩვენი სტუდენტების, მათ ნაშრომთა ხელმძღვანელებისა და რეცენზენტების ენთუზიაზმი და მოტივირებული მიდგომა საქმისადმი. ორივე პროცესში მნიშვნელოვანი იყო გამოცდილ სპეციალისტებთან ერთად დოქტორანტების ჩართვა, რაც წარმატებით შედეგად იქცა. დიდი მადლობა მიმდა ვუთხრა პროფესორ მანანა ხაჩიძეს. მან შექმნა კომპიუტერული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელშიც გაერთიანდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის სტუდენტები **ლაშა გაგნიძე, სალომე ნიკლაური და ანა მნითური**. ჟურნალის პირველ ნომერში გამოქვეყნდა მხოლოდ თსუ-ს სტუდენტების ნაშრომები. იმედი მაქვს, რომ შემდეგ ნომერებში სხვა უნივერსიტეტების სტუდენტებიც შემოგვიერთდებიან. რაც შეეხება ჟურნალის



განვითარებას, ამჟამად სტატიები მისაწვდომია ყველასთვის. რა თქმა უნდა, ვგეგმავთ მის განვითარებასაც და შესაბამის ბაზებში დარეგისტრირე-

ბას“, – გვითხრა მანანა რუსიშვილმა. ჟურნალის რედაქტორია დოქტორანტი **ნატო ფერაძე**. მისი თქმით, ჟურნალის თემატიკა მრავალფეროვანია, მიიღება თარგმანმცოდნეობასთან დაკავშირებული კვლევებიც და სტუდენტების თარგმანებიც, თუმცა პირველ ნომერში, უმეტესად, გამოქვეყნდა ნაშრომები ლინგვისტიკისა და ლიტერატურის მიმართულებით. „აღსანიშნავია, რომ პირველ ნომერში შესულია სამივე საფეხურის სტუდენტების კვლევები, რომლებიც საკმაოდ აქტუალური და საინტერესო თემებს ეძღვნება. მაგალითად, **„პირდაპირი და არაპირდაპირი აგრესიის ენაქართველ პოლიტიკოსებს შორის“**, **„გენდერული სტერეოტიპების ვერბალური გამოხატვა დისნეის ანიმაციურ ფილმებში“**, **„კოვიდ-19 პანდემიის გავლენა ქართულ ენასა და კომუნიკაციაზე“** და ა.შ. გარდა ამისა, პირველ ნომერში გამოქვეყნდა ერთი თარგმანის ვოლფგანგ ბორხერტის მოთხრობისა „მონყენილი გერანიები“. სტატიები შეირჩა საკვლევი მასალის აქტუალურობისა და სიახლის მიხედვით“, – აღნიშნა ნატო ფერაძემ.


თსუ-ს სტუდენტებმა ბათუმში წარმოებულ მასშტაბურ მშენებლობებზე კვლევა ჩაატარეს

ნინო ხაჯალია

„ბათუმის ურბანული გამოწვევები – თანამედროვე არქიტექტურა (მასშტაბური მშენებლობები) და მისი ეფექტი ქალაქის ეკოლოგიაზე“ – ამ სახელწოდებით დაამუშავეს პრობლემური თემა თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტებმა **მარიამ გაფრინდაშვილმა და ია ნადირაშვილმა**.

თუ რატომ დაინტერესდნენ ამ თემით – კითხვაზე მარიამ გაფრინდაშვილი გვპასუხობს: „ბოლო პერიოდში საკმაოდ გახშირდა მასშტაბური მშენებლობები საქართველოს დიდ ქალაქებში. ცხადია, ეს ყოველივე ურბანიზაციის თანმდევი ნაწილია. ბათუმი დღეს ქვეყნის მეორე ურბანული ცენტრია, სადაც 15 წლის განმავლობაში მასშტაბური მშენებლობები მიმდინარეობს, რაც ტურიზმის, ეკონომიკისა და ბიზნეს სექტორის სფეროში საფუძვლიანი ძვრების მიზეზია. თუმცა, ვფიქრობ, ისეთი გამორჩეული საკურორტო ქალაქისთვის, როგორც ბათუმი, ეკოლოგიას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. შავი ზღვის დაბინძურება, სანაპირო ზოლის სიახლოვეს მიმდინარე მშენებლობები, ნარჩენების მართვა, მოსახლეობის დაბალი ეკოლოგიური თვითმეცნება – ნლებია აქტუალობას არ კარგავს. ქალაქში, უკანასკნელ წლებში, ეკოლოგიური თვალსაზრისით ვითარება საგრძნობლად გაუარესდა, რაც სწორედ მასშტაბური მშენებლობების შედეგია, ეს ყოველივე კი არაერთი ეკოლოგიური საფრთხის მაპროვოცირებელი ფაქტორი ხდება“, – აღნიშნავს მარიამი.

„მე და მარიკომ საკვლევი თემა მი-



კვლევამ გამოავლინა პრობლემასთან ბრძოლის სხვადასხვა გზა, რომელთაგან მნიშვნელოვანია საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლება, მწვანე პოლიტიკის გატარება და ქალაქის გენერალური გეგმის ხელახალი დამუშავება.

სი აქტუალურობიდან გამომდინარე შევარჩიეთ. სიახლე არ არის, რომ ბათუმში მიმდინარე მასშტაბური მშენებლობები ქალაქისთვის ბევრ პრობლემას წამოჭრის, მათ შორის, ეკოლოგიის კუთხით. ეს არ არის მხოლოდ ლოკალური პრობლემა, მისი გავლენა ბევრად მასშტაბურია. თანაც მშენებლობების მიერ გამოწვეული ფაქტორები მხოლოდ სამომავლო საფრთხეს

არ გულისხმობს, არამედ დღესაც მკაფიოდ შესამჩნევია, რასაც ადგილობრივებთან ჩატარებული ინტერვიუებიც ადასტურებს. ასევე, პრობლემის სიმძაფრეს დოკუმენტური მასალაც ცხადყოფს, რაც საკმაოდ ჭარბადაა და კვლევაში მოხანილ ექსპერტებიც ადასტურებენ, რომლებიც თავადაც აქტიურად მუშაობენ ბათუმის პრობლემების გადაჭრის საკითხებზე“, – ამბობს ია ნადირაშვილი.

კვლევის თანახმად სტუდენტებმა დასკვნები კონფერენციაზე წარადგინეს. მათ მიერ შემუშავებული საკითხები მოიცავდა იმ ძირითადი ეკოლოგიური საფრთხეების შესწავლას, რის წინაშეც დგას ბათუმი ურბანული ტრანსფორმაციის ფონზე. სტუდენტებმა იკვლიეს ბათუმში არსებული მასშტაბური მშენებლობების ეკოლოგიური ეფექტი და ელემენტარული უსაფრთხოების საკითხი ადგილობ-

რივი მოსახლეობის მაგალითზე. „ბათუმში არსებული მასშტაბური მშენებლობები მეტწილად მოქმედებს ქალაქის ეკოლოგიურ მდგომარეობაზე; გამოიკვეთა ეკოლოგიური პრობლემები, როგორც ჰაერის, ლანდშაფტის, ისე წყლის რესურსებთან მიმართებით. პრობლემის აქტუალობას ხაზი გაუსვა ადგილობრივ მოქალაქეებსა და ექსპერტებთან ჩატარებულმა სიღრმისეულმა ინტერვიუებმა. კვლევამ გამოავლინა პრობლემასთან ბრძოლის სხვადასხვა გზა, რომელთაგან მნიშვნელოვანია საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლება, მწვანე პოლიტიკის გატარება და ქალაქის გენერალური გეგმის ხელახალი დამუშავება. მნიშვნელოვანია ბათუმის ფუნქციური პროფილის გაძლიერება და დივერსიფიკაცია, მისი ქალაქწარმოქმნილი დარგების გამრავალფეროვნება და მათში უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციების მოზიდვა. ერთი მხრივ, ეს ნიშნავს ახალი ინდუსტრიული/სანარმოო ბიზნესცენტრის შექმნას, რაც არის მიზანმიმართული პოლიტიკა ქალაქწარმოქმნილი ახალი დარგების (მაგ., მსუბუქი მრეწველობა) სტიმულირების, ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა და ბიზნესგარემოს გაუმჯობესების თვალსაზრისით. უნდა აღინიშნოს, რომ ეკოლოგიურ საკითხებში უმნიშვნელოვანესია საზოგადოების როლი. აუცილებელია მათი ინტერესის გათვალისწინება, რაც გულისხმობს რესურსების სწორად გამოყენებას, გარემოს დაბინძურების თავიდან არიდებას და მაღალსამოქალაქო ჩართულობას“, – აღნიშნავს მარიამ გაფრინდაშვილი კვლევის შედეგებზე საუბრისას.

თამთა კეკელიძემ ლინკდინის ეფექტები შეისწავლა

61660 ხაჯალია

„ლინკდინი, როგორც ვირტუალურ საზოგადოებაში პროფესიული იდენტობის ჩამოყალიბებისა და დასაქმების პლატფორმა სტუდენტებისთვის“ – ამ თემაზე კონფერენციისთვის იმუშავეს თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებთა ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების მეორე კურსის სტუდენტებმა **თამთა კეკელიძემ** და **ნინო კარანაიამ**. რატომ დაინტერესდა ამ საკითხით და რა პროცესი გაიარა თემის დასამუშავებლად? – ამ კითხვას თამთა კეკელიძე პასუხობს:



სიტყვებით: პროგრესი, შესაძლებლობები, განვითარება, წარმატება, მრავალფეროვნება, სოციალური კაპიტალი, კარიერა.

ლინკდინის პროფილი დამატებითი პლუსია დასაქმებისთვის. აქ თავმოყრილი საზოგადოება არის მკვეთრად განსხვავებული, პლატფორმაზე ჩამოყალიბებული კომუნიკაციის ფორმა სრულიად განსხვავდება რეალური ურთიერთობებისგან და არის მხოლოდ საქმიანი ხასიათის. კვლევამ გვაჩვენა, რომ სტუდენტები, რომლებიც ამ პლატფორმას იყენებენ, დამატებითი შესაძლებლობების შესახებ იღებენ ინფორმაციას და ეს, კავშირების გაღრმავების თვალსაზრისით, კარიერულ განვითარებაში ეხმარებათ. ასევე, დადგინდა, რომ სტუდენტთა დიდი ნაწილი ლინკდინის

— “ —
საბოლოოდ, გავედით დასკვნაზე, რომ თანამედროვე ვირტუალურ საზოგადოებაში ლინკდინი არის სასარგებლო გზა – უფრო მარტივად დაამყარო კავშირები პროფესიულ სივრცეში და შეიქმნა პროფესიული იდენტობა, იზოვო სასურველი ვაკანსიაც კი”, – ამბობს თამთა კეკელიძე.
— ” —

ნის არგამოყენების მიზნად არასაკმარის გამოცდილებას ასახელებს, მაშინ, როცა, ექსპერტთა ხედვით, ეს არ არის გადამწყვეტი და რეალურად ლინკდინზე შეგიძლია მეტი გაიგო შენთვის საინტერესო სფეროში დასაქმებული ადამიანების ან კომპანიების შესახებ, მიიღო რჩევები. მთავარია არა კარიერული გამოცდილება, არამედ – რაც შეიძლება მეტი ადამიანის დამატება პლატფორმაზე და ნაბიჯ-ნაბიჯ საკუთარი თავის წარმოჩენა. საბოლოოდ, გავედით დასკვნაზე, რომ თანამედროვე ვირტუალურ საზოგადოებაში ლინკდინი არის სასარგებლო გზა – უფრო მარტივად დაამყარო კავშირები პროფესიულ სივრცეში და შეიქმნა პროფესიული იდენტობა, იზოვო სასურველი ვაკანსიაც კი”, – ამბობს თამთა კეკელიძე.

— **გლიც-ინტერვიუ** —
— რა ცოდნას გაძლევს უნივერსიტეტი?

– უნივერსიტეტი, კერძოდ, ჩემი ფაკულტეტი თეორიულ ცოდნასთან ერთად, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, მასწავლის – როგორ ჩამოვყალიბებ აქტიურ და პასუხისმგებლიან მოქალაქედ. ამაში კი უდიდეს როლს ჩემი ლექტორები და კურსელები ასრულებენ.

– ვინ არის/არიან უნივერსიტეტში შენი საყვარელი ლექტორ(ებ)ი?

– მიმანია, რომ ყველა ლექტორისგან ვსწავლობ რაღაც ახალს და ვიძენ განსხვავებულ გამოცდილებას – იქნება ეს დადებითი თუ უარყოფითი, რაც, საბოლოოდ, პიროვნულ განვითარებაში მეხმარება. სხვადასხვა ნიშნით ბევრი ჩემთვის საყვარელი ლექტორის გამოყოფა შეუძლია და კონკრეტულ სახელებს არ დავასახელებ.

– რა პრობლემას გამოკვეთდი საუნივერსიტეტო ცხოვრებიდან?

– პრობლემები ბევრია ყველა სფეროში და არც უნივერსიტეტი გამონაკლისი. აქვე აღვნიშნავ, რომ დიდი იმედი მაქვს, სტუდენტების მოთხოვნებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე, ისინი აღმოიფხვრება. როგორც სოცპოლის სტუდენტი, ერთ-ერთ მთავარ პრობლემად, ზოგადად, კორპუსების განფენილობასა და ერთ დღეს სხვადასხვა ადგილზე ლექციის ქონას დავასახელებ.

– რა სურვილები გაქვს, რაც უნივერსიტეტს და შენს სტუდენტობას უკავშირდება?

– მთავარი სურვილი დღეს და ყოველთვის ჩემთვის, როგორც სტუდენტისთვის, არის ის, რომ უნივერსიტეტი იყოს თავისი სტუდენტების, პროფესორისა და აკადემიური პერსონალის ხმა.

ჰასმიკ ტონერიანი: „ორი სპეციალობა მაქვს – მხატვრობა და სინოლოგია“

ჰართხია ბაროშვილი

ჰასმიკ ტონერიანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე 1+4 პროგრამით მოხვდა; თავდაპირველად, ერთი წელი ქართულის შესწავლას მოაწოდებდა, შემდგომ კი სწავლა სახვითი ხელოვნების პროგრამაზე გააგრძელა, რადგან ხატვა მისი ერთ-ერთი გატაცებაა. ჰასმიკი ჩინური ენის შესწავლით მოგვიანებით დაინტერესდა.



„ჩინური ენით და კულტურით უნივერსიტეტში ჩაბარებამდე არ ვიყავი დაინტერესებული... მომწონდა აზიური ფილმები, მათი კულტურა, მაგრამ არც კი მიფიქრია, რომ როდესმე მეც მოვინდომებდი ჩინურის სწავლას. პირველი კურსის მეორე სემესტრში საგნების არჩევისას შემხვდა ჩინური, ჯგუფში ერთი ადგილი იყო დარჩენილი და დაუფიქრებლად მივიღე გადაწყვეტილება. ხანდახან ვფიქრობ, რომ ეს ბედისწერა იყო. ჩემი პედაგოგების დამსახურებით, ჩინური ენისა და კულტურის მიმართ ინტერესი დღითიდღე იზრდებოდა, ამიტომაც ავირჩიე სინოლოგია მაინორ პროგრამად. მინდა, მაღლობა გადავუხადო ჩემს პირველ მასწავლებელს **ანა გოგუაძეს**, ჩვენი მიმართულების ხელმძღვანელს, ქალბატონ **ნანა გელაშვილს**, ასევე, ჩემს ახლანდელ პედაგოგებს: **თეონა გელაშვილს** და **ლი ძიენფენგს**, რომელთა გარეშე ვერაფერს შევძლებდი ამ სფეროში, „ – ამბობს ჰასმიკი.

მისი თქმით, უნივერსიტეტში მოხვედრის შემდეგ მისი ცხოვრება ბევრად უფრო სასიკეთოდ შეიცვალა, მისი ოცნებები ასრულდა, ამავე დროს, გაიჩინა მეგობრები და, როგორც თავად ამბობს, აქ აღმოაჩინა თავისი „დიდი სიყვარული“ – ჩინური!

ჰასმიკმა 31 მაისს მიიღო წერილი, სადაც ატყობინებდნენ, რომ მოიპოვა შანტუნგის პედაგოგიური უნივერსიტეტის მეგობრული ქალაქების სტიპენდია. მან, ასევე, ნოემბერში შეტანილი განაცხადის საფუძველზე ჩააბარა ჩინური ენის საერთაშორისო გამოცდა (**B1**დონე). სტიპენდიატები აირჩიეს შესაბამისი საბუთების განხილვის შემდეგ, რის შედეგადაც, ჰასმიკ ტონერიანი 2024 წლის სექტემბრიდან 2025 წლის ივლისამდე სწავლას გააგრძელებს შანტუნგის პედაგოგიურ უნივერსიტეტში (**Shandong Normal University**).

ჰასმიკ ტონერიანი ჩინეთში სწავლის დამთავრების შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბაკალავრიატის დასამთავრებლად დაბრუნდება, შემდეგ კი მაგისტრატურის კურსის გავლას კვლავ ჩინეთში გეგმავს. მისი სამომავლო გეგმები ჩინურ ხელოვნებასთან არის დაკავშირებული, განსაკუთრებით – მხატვრობასთან.

„ისე მოხდა, რომ ორი სპეციალობა მაქვს: მხატვრობა და სინოლოგია. ორივე ძალიან მიყვარს... ამის გარდა, ასევე, მაქვს ძალიან ბევრი სხვა ინტერესი – ვფლობ სომხურ, რუსულ, ქართულ, ინგლისურ და ჩინურ ენებს, ახლა ვსწავლობ არაბულსაც. ვფიქრობ, სამომავლოდ ბევრი საინტერესო პროექტის განხორციელებაში შევძლებ მონაწილეობის მიღებას“, – ამბობს ჰასმიკ ტონერიანი.



— “ —
მაქვს ძალიან ბევრი სხვა ინტერესი – ვფლობ სომხურ, რუსულ, ქართულ, ინგლისურ და ჩინურ ენებს, ახლა ვსწავლობ არაბულსაც. ვფიქრობ, სამომავლოდ ბევრი საინტერესო პროექტის განხორციელებაში შევძლებ მონაწილეობის მიღებას“, – ამბობს ჰასმიკ ტონერიანი.
— ” —



სალომე კაიშაური: „მაყურებელს უნდა მიეწოდებოდეს მასალა, რომელიც დაცლილი იქნება სუბიექტური ელემენტებისაგან“

ენოლოგია

„ევროკავშირის ინსტიტუტების ლიდერები ქართული მედიის სარკვეში საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიანიჭებამდე და მინიჭების შემდეგ სამი ქართული ტელეარხის („იმედი“, „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, „მთავარი არხი“) მაგალითზე“ – ამ თემაზე იმუშავა თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტმა სალომე კაიშაურმა სანდრო კაპანაძესთან ერთად, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობებზე სწავლობს და ასევე მესამე კურსელი გახლავთ.



იმის გაგება, თუ როგორ ასახავს მედია ევროკავშირის ლიდერებს, შეუძლია გავლენა მოახდინოს საზოგადოების აღქმაზე ევროკავშირისა და მისი ხელმძღვანელობის შესახებ. მე და ჩემმა მეწყვილემ გადავფასეთ არსებული საკითხები და საბოლოოდ შევჯერდით საკონფერენციო თემაზე.

ძიეთ ექსპერტები, რომელთაც გაგიზიარებს მათი შეხედულებები და ეს ყოველივე მეტად ნაადგარ ჩვენს კვლევას“, – აცხადებს სალომე კაიშაური. რა დასკვნა დადეს სტუდენტებმა და რა ტენდენციებზე საუბრობენ თემის დამუშავების თანახმად? – ამ კითხვებზე სალომე ასე გვპასუხობს: „სამივე ტელეარხზე ძირითადი ჟურნალისტური საშუალება იყო სიუჟეტი და პირდაპირი ეთერი, ნიუსები... ასევე, აღნიშნული ინფორმაციის გაშუქების სტილი თითოეულ არხზე იმას

ამტკიცებს, რომ მედია პოლარიზებულია, რისი თქმის საფუძველსაც თვითონ სიუჟეტები, გამოკითხულ რესპონდენტთა ვინაობა გვაძლევს. იყო ხარვეზებიც, მაგალითად, სიუჟეტებში იკვეთებოდა ჟურნალისტების მიერ მონინალმდევე მხარის ექსპერტების გამოკითხვის ნაკლებობა, რაც, ვთვლი, რომ ბალანსისთვის აუცილებელია. ასევე, აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენ შერჩეული გვქონდა სამი ტელეარხი: სამთავრობო – „იმედი“, ოპოზიციური – „მთავარი არხი“ და ნეიტრალური – „საზოგადოებრივი მაუწყებელი“. „იმედის“ სიუჟეტებსა და ნიუსებში დომინირებდა დადებითი შინაარსის გამოსვლები ევროკავშირის ინსტიტუტების ლიდერებისა, როგორც წევრობის კანდიდატობის მიღებამდე, ისე – მიღების შემდგომ. ხოლო, „მთავარი არხზე“ ვხვდებოდით შედარებით სკეპტიკურად განწყობილი ლიდერების სფიჩების გაშუქებას. აგრეთვე, ხაზგასასმელია ისიც, რომ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ჟურნალისტურ მასალებში, ამ საკითხთან დაკავშირებით, იკვეთებოდა მიდრეკილება პროსამთავრობო ნარატივებისკენ. მოცემული აზრი გაიზიარა ასევე ჩვენ მიერ ჩანერილმა ექსპერტმა. მაყურებელს უნდა მიეწოდებოდეს მასალა, რომელიც დაცლილი იქნება სუბიექტური ელემენტებისაგან და თავად მაყურებელმა უნდა გამოიტანოს დასკვნა“, – ამბობს სალომე.

— პლიც-ინტერვიუ —
– რატომ აირჩიე შენი პროფესია და რამდენად მოგწონს?
– რაც ვიცოდი – ის იყო, რომ ჩემ მიერ არჩეული პროფესია უნდა მყვარებოდა. საბოლოოდ, გადავწყვიტე, რომ პოლიტიკის მეცნიერებისთვის დამეკავშირებინა ჩემი აკადემიური

ცხოვრება და ვთვლი, რომ ზუსტად იქ ვარ, სადაც უნდა ვიყო. აბიტურიენტობამდე და მას შემდეგაც, დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემი სამშობლოს განვითარებასა და წინსვლაში ჩემი სიტყვა უნდა მეტეკვა, ოღონდ არ ვიცოდი – როგორ. პოლიტიკის მეცნიერებაზე სწავლისას გავაანალიზე, რომ ესაა პროფესია, სადაც ვარ ის, ვინც ვარ – წინააღმდეგობის გამკლავება გაცილებით მარტივი გახდა, არ ვარ „ბაბლში“ მოქცეული და, რასაკვირველია, პიროვნულად განვითარებასა და წინსვლაში ნამდვილად დამეხმარა. აგრეთვე, მეორად პროფესიად მაქვს არჩეული ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაციები. ამ სფეროსა და პოლიტიკის მეცნიერების კოლაბორაცია, კავშირი ერთმანეთთან, ჩემთვის კიდევ უფრო საინტერესოს ხდის სწავლის პროცესს.

– რა ცოდნას გაძლევს უნივერსიტეტი?
– ვფიქრობ, რომ უნივერსიტეტი ის ადგილია, სადაც ცოდნასთან ერთად, გარკვეულწილად, პრაქტიკულ გამოცდილებასაც ვიღებ და ეს ჩემზე დადებითად აისახება. ასევე, გამოვყოფდი რამდენიმე კურსს/საგანს, რომელთა გავლისას განსაკუთრებით ვგრძნობდი იმას, რომ ის არა მხოლოდ ცოდნის გადმოცემას ემსახურებოდა, არამედ კიდევ უფრო გვივითარებდა კრიტიკისა თუ ანალიზის უნარებს, რაც, მიმაჩნია, რომ უმნიშვნელოვანესია, განსაკუთრებით ჩემს ფაკულტეტზე.
– რა სურვილები გაქვს, რაც უნივერსიტეტს და შენს სტუდენტობას უკავშირდება?
ვისურვებდი, იყოს მეტი გულანთებული ახალგაზრდა, ნაკლები ნეგატიური ენერჯია და მეტი ურთიერთგაგება ერთმანეთისადმი.

თამარ ფარჩუკიძე: „ჩემთვის, როგორც მუსიკოსისთვის, ეკონომისტის აზროვნებაც ერთგვარი ხელოვნებაა“

თამარ ფარჩუკიძე

თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი თამარ ფარჩუკიძე ერთ-ერთი პირველია რეიტინგით, ვინც სახელმწიფო სტიპენდიის შესარჩევ კონკურსში კვლავ გაიმარჯვა. მას სახელმწიფო სტიპენდიის სტატუსი ოთხივე კურსზე ჰქონდა.



ლისტი ვარ და „ნიჭიერის“ 2018 წლის გამარჯვებული. აქტიურად ვმონაწილეობ სხვადასხვა საქალაქო და რესპუბლიკურ ღონისძიებებში. მუსიკალურ განათლებას კი, ვცდილობ, ეკონომისტის სპეციალობის დაუფლება

— — —
თბილისის ბავშთა კაპელას“ სოლისტი ვარ და „ნიჭიერის“ 2018 წლის გამარჯვებული. აქტიურად ვმონაწილეობ სხვადასხვა საქალაქო და რესპუბლიკურ ღონისძიებებში.
– ამბობს თამარი, ვის ოჯახშიც ყველა ხელოვანია. თამარს ტექნიკური საგნები ბავშვობიდანვე იზიდავდა და ასაკის მატებასთან ერთად ინტერესი ეკონომიკის სფეროს მიმართულებით გაუმძაფრდა.
„ვცდილობ – ორი ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულ სფეროთა ერთობა ჩემს ერთ-ერთ ძლიერ მხარედ ვაქციო“, – აცხადებს თამარი, რომელიც აქტიურად მონაწილეობს სტუდენტურ-სამეცნიერო კონფერენციებში.
თამარისთვის პროფესია ეკონომის-

ტი იყო, არის და ყოველთვის იქნება პერსპექტიული და მრავალპროფილური პროფესია. „როგორც კაცობრიობის განვითარების ისტორია აჩვენებს, ყველა დროსა და ფორმაციაში მმართველებს ჰყავდათ ადამიანები, რომლებიც აკონტროლებდნენ ფინანსებსა და ეკონომიკურ სფეროს. ალბათ, ყველა მეფის კარზე ხაზინადარი იყო იმ სახელმწიფოს ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრიც. ამ ისტორიულ რაკურსს იმიტომ გავუსვი ხაზი, რომ ეკონომისტობა იყო, არის და ყოველთვის იქნება პერსპექტიული და მრავალპროფილური პროფესია.
ჩემთვის, როგორც მუსიკოსისთვის, ეკონომისტის აზროვნებაც ერთგვარი ხელოვნებაა. შესაბამისად, კარგ ეკონომისტს, როგორც თავის საქმის ბრწყინვალე მცოდნეს, შესაძლებლობებიც დიდი აქვს“, – ამბობს თამარ ფარჩუკიძე, რომელიც ფიქრობს, რომ ძალიან გაუმართლა, რადგან ერთი მეორეზე კარგ ლექტორებთან მოუწია ურთიერთობა (როგორც ცოდნის, ასევე, პიროვნული თვალსაზრისით).

სტიპენდიატობა ქეთევან ბალანჩივაძეს სპორტულ ინტერესად ექცა

თამარ ლალიანი

თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის ბაკალავრიატის პროგრამის მეოთხე კურსის სტუდენტი ქეთევან ბალანჩივაძე უკვე მეოთხედ გახდა სახელმწიფო სტიპენდიატი და გამარჯვებულ კონკურსანტთა სათავეშია უმაღლესი შეფასებით.



სტუდენტური პორტალის საშუალებით ყოველთვის ვიღებ ინფორმაციას ვაკანსიების შესახებ თსუ-ს სტუდენტური სერვისებისა და კარიერული განვითარების ცენტრის დახმარებით.

ქეთევანისთვის სახელმწიფო სტიპენდიის მიღება ასოცირდება იმ შრომის დაფასებასთან, რაც ყველა სემესტრის განმავლობაში ყოველდღიურად უწევს. ის ფაქტი, რომ სტიპენდიის სტატუსი ოთხი წლის განმავლობაში აქვს, თითქოს სპორტულ ინტერესსაც უჩენს და ამბობს: „მინდა, ყოველთვის დავუმტკიცო ჩემს თავს, რომ კონკურენტუნარიანი ვარ თუნდაც ამ კუთხით – ეს კი ჩემთვის მოტივაციის საუკეთესო წყაროა“. ქეთევანი მუდმივად არის აქტიურად ჩართული სტუდენტურ ღონისძიებებში. „სამეცნიერო ანალიტიკურ ჟურნალში – „საქართველოს ეკონომიკა“ – გამოქვეყნებული მაქვს 6 სტატია. ჩემი პირველი სტატია იყო „ჩრდილოეთი ეკონომიკა და საქართველო“. მასთან განსაკუთრებული ემოციები მაკავშირებს, რადგან ამ სტატიის გამოქვეყნების შემდეგ მიხვდი, რომ ჩემი ცოდნის გაზიარება

სხვებისთვისაც შემეძლო. ეს საკმაოდ დიდი მოტივაცია აღმოჩნდა იმისთვის, რომ გამეგრძელებინა სტატიების გამოქვეყნება. განვიხილავდი აქტუალურ და საინტერესო თემებს, მაგალითად,

პანდემიის პერიოდში გამოვაქვეყნე სტატიები: „რატომ არის ფასები ასე მაღალი ახლა და დაუბრუნდებიან თუ არა ისინი ნორმალურ მდგომარეობას“, „იყიდე ახლა, გადაიხადე მოგვიანებით“, „ფასები საფთხაქო ბაზარზე“, „საერთაშორისო ვაჭრობა და საქართველო“. ბაკალავრიატის საფეხურის ბოლოს მომზადებული სტატია – „ინფლაცია და საქართველო“ – ასევე ემოციურად დატვირთულია, – აღნიშნავს ქეთევანი, რომელიც პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით კარგ რჩევას გვაძლევს: „თუ გინდა, რომ საკუთარი პროფესიისგან მიიღო სიამოვნება და არ გადაიზარდოს შენი საქმიანობა მოსაწყენ რუტინაში, მაშინ უფრო ფართო ჭრილში უნდა განიხილო ის. მაგალითად, თუ ეკონომიკურ აზროვნებას მივუდგებით – როგორც შემოქმედებით აზროვნებას, მაშინ უფრო დავაფასებთ და გამოვიყენებთ მას როგორც ყოველდღიურ, ასევე, სამსახურებრივ ცხოვრებაში“. კითხვაზე – თუ რა შესაძლებლობები აქვს დღეს კარგ ეკონომისტს, ქეთევან ბალანჩივაძე ასე გვპასუხობს: „ვთვლი, რომ დღეს კარგი ეკონომისტისთვის ყველა კარი ღიაა, რადგან არ მეგულება არც ერთი ბიზნესი, ორგანიზაცია ან რაიმე ნამოწყება როგორც კერძო, ასევე, საჯარო სექტორში, რომელსაც შეუძლია ეკონომისტისა და მისი წვლილის

გარეშე წარმატების მიღწევა. ეკონომისტობას და ეკონომიკურ აზროვნებას არ ალვიქვამ მხოლოდ როგორც პროფესიას, რადგან საბაზისო ეკონომიკის ცოდნით შეგიძლია ცხოვრების გამარტივება და ყოველდღიურ ცხოვრებაში პრობლემების მარტივად გადაწყვეტა“, – აცხადებს ქეთევანი. ქეთევანისთვის, პირადი გამოცდილების თანახმად, სტუდენტური ცხოვრება ასოცირდება პოზიტიურ მოგონებებთან და გათენებული ღამეების დაფასებასთან. „სტუდენტურ წლებში გავიზარდე როგორც კარიერულად, ასევე, პიროვნულად. რაც შეეხება შესაძლებლობებს, სტუდენტური პორტალის საშუალებით ყოველთვის ვიღებ ინფორმაციას ვაკანსიების შესახებ თსუ-ს სტუდენტური სერვისებისა და კარიერული განვითარების ცენტრის დახმარებით. სტაჟირებასა და ახალი გამოცდილებების მიღებაში უნივერსიტეტი სხვა კუთხითაც გვიწყობს ხელს, ის გვაძლევს საშუალებას სემესტრული ცხრილი ჩვენზე მორგებულად შევადგინოთ“, – აღნიშნავს ქეთევან ბალანჩივაძე, რომელსაც ბაკალავრიატის საფეხურის დასრულების შემდეგ დაგეგმილი აქვს ერთიანი სა-მაგისტრო გამოცდებში მონაწილეობის მიღება. არჩევანს, რა თქმა უნდა, ისევ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტზე შეაჩერებს.

თსუ-დან ამერიკის უნივერსიტეტამდე

მაია ტორაძე

თეკლა ჭელიძე 2016 წელს სრული დაფინანსებით ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე. პროფესიის არჩევაზე ბევრი არ უფიქრია – სკოლის პერიოდ-დანვე ინტერესდებოდა ქიმი-ბიოლოგიის მეცნიერებებითა და სამედიცინო სფეროთი, ამიტომაც გულდაგულ შეუდგა ცოდნის მიღების საკმაოდ რთულ და საინტერესო პროცესს. შედეგად არ დააყოვნა – როგორც საუკეთესო მაჩვენებლების მქონე სტუდენტი, რამდენჯერმე მოხვდა ამერიკის Star Academy-ს პროგრამაში. „ამერიკაში მეორე კურსის დასრულების შემდეგ, 2018 წლის ზაფხულს გავემგზავრე Star Academy-ს პროგრამით. მაშინ ის სრულიად ახალი კომპანია იყო და ერთ-ერთი პირველი მონაწილე მე ვიყავი, სხვა სტუდენტებთან ერთად. პირობა ასეთი იყო – უნდა გცოდნოდა ინგლისური B1-B2 დონეზე და გქონოდა აქტიური სტუდენტის სტატუსი. რა თქმა უნდა, ეს შანსი გამოვიყენე და პირველივე წელს გავემგზავრე მიჩიგანის შტატში“, – გვიყვება თეკლა. ამავე პროგრამამ ის 2019 წელსაც მიიწვია და სამხრეთ კაროლინაში მოუწია სწავლა.

რისთვისაც ის მაღლიერია განსაკუთრებით ინდურ-ამერიკული კომპანიის („Women's Rehabilitation Scholarship“), რომელმაც გასული სემესტრი მთლიანად დაუფინანსა. თეკლა ორ სამსახურს უთავსებს ერთმანეთს. ის არის დამატებითი ინსტრუქციის ლიდერი (SIL-Supplemental Instruction leader) და სტუდენტებს (უმეტესწილად, პირველ და მეორეკურსელებს) ბიოლოგიის შესავალს ასწავლის. ამასთან, უკვე ორი წელია Center for Leadership & Engagement-ის დეპარტამენტშიც მუშაობს და, თანამშრომლებთან ერთად, გეგმავს ღონისძიებებს, აორგანიზებს სტუდენტების შეხვედრას უნივერსიტეტის პრეზიდენტთან, დეკანთან და სხვადასხვა დეპარტამენტთან.



„უნივერსიტეტს ვამთავრებ 3.94 GPA-თ. უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ მინდა, რომ ერთი წელი აკადემიური შევებულება გამოვიყენო კვლევებში მონაწილეობისა და „MCAT“-ის გამოცდის მაღალ ქულაზე მომზადებისთვის. ვაპირებ – გავაგრძელო სწავლა MD/PhD პროგრამაზე ნიუ-იორკში. სწავლის ხანგრძლივობა 8 წელია, თუმცა დასრულების შემდეგ ექიმის სტატუსიც გექვს და მკვლევარ-მეცნიერისაც. მე, რადგანაც მედიცინაც მიყვარს და მეცნიერებაც, ამიტომ ეს კარიერა მაქვს გადაწყვეტილი“, – გავიზიარა მომავლის გეგმები თეკლამ.

ბორატორიის საათები, რომლის ფარგლებშიც თითოეულ საგანში კვლევებს ვატარებთ. აქ ნიშნებს ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ნიშნების გარდა, ყურადღება ექცევა აქტიურ სტუდენტურ ცხოვრებასაც: მაგალითად, რამდენ კლუბში ხართ განევრიანებული, სტუდენტური თვითმმართველობის წევრი თუ ხართ და ა.შ. ჩვენ, ასევე, გვაქვს „Honors Program“, რომელთა წევრ სტუდენტებსაც მინიმუმ 80 საათი უწევთ იმუშაონ სხვადასხვა კომპანიაში მოხალისეობად (სემესტრში, დაახლოებით, 15-20 საათი). ეს 80 მოხალისეობის საათი აუცილებელია უნივერსიტეტის დასამთავრებლად. ამის გარდა, „Honors“-ის ფარგლებში სტუდენტების მიმართ ბევრი სხვადასხვა სახის მოთხოვნა – სამეცნიერო შეხვედრებსა და ტრენინგებზე დასწრება, კვლევებში ან სტაჟირებებში მონაწილეობის მიღება და სხვ. ეს ყველაფერი პირად რეზიუმესაც ავსებს, დიპლომშიც გენერებათ და უნივერსიტეტების ზოგიერთი კონკურენტული პროგრამის ძირითადი მოთხოვნაც არის“, – ამბობს ის.



კითხვაზე – თუ რა სხვაობას ხედავს ამერიკულ და ქართულ უმაღლესი განათლების სისტემებს შორის, თეკლა დეტალურად აღწერს, რა პრინციპებია ძირითადი და გადამწყვეტი წარმატებული სწავლისთვის: „ამერიკაში სრული განაკვეთის სტუდენტად ითვლება 12-15 კრედიტი. მაქსიმუმ, რისი ალბათაც ერთ სემესტრში შეგიძლიათ, არის 18 კრედიტი. აქ სემესტრში საგნების რაოდენობა უფრო ცოტაა, თუმცა, თუ მეცნიერებას სწავლობთ, ბევრი რამ ემატება თითოეულ საგანს – გვაქვს ლა-

სახელმწიფო უნივერსიტეტში მიღებულ ცოდნას, რომელმაც ამერიკაში წარმატებული სვლა გაუადვილა: „ძალიან ბევრჯერ ყოფილა შემთხვევა, განსაკუთრებით უჯრედის ბიოლოგიის, გენეტიკისა თუ მიკრობიოლოგიის გავლის დროს, როცა უკვე მასალის 70-80% ვიცოდი მედიცინის ფაკულტეტიდან. ამიტომ, დამიჯერეთ, ნამდვილად პროფესიონალი მასწავლებლები და პროფესორები გვყავს თსუ-ში. განსაკუთრებით მინდა გამოვიყენო ჩემი საყვარელი პროფესორები – ბატონი თეიმურაზ ლეჟავა (რომლის ნასწავლი გენეტიკა დღესაც მეხმარება), ბატონი პავლე ჭელიძე და ქალბატონი დიანა ძიძიგური. ეს იმ პროფესორების მცირე ჩამონათვალია, რომელთა უზომო ღვაწლიც მთელი ცხოვრება მემახსოვრება“, – ამბობს თეკლა.



ნიკოლოზ დევდარიანი საზღვარგარეთ 5 წლიან სადოქტორო პროგრამაზე შეაჩერა არჩევანი

ჟურნალი ბაროკვილი

ოსუს სტუდენტი ნიკოლოზ დევდარიანი ჯერ კიდევ ბავშვობიდან გამოირჩეოდა მათემატიკის მიმართ სიყვარულით და განსაკუთრებული უნარებით... თბილისის N64 საჯარო სკოლაში სწავლის პერიოდში იგი აქტიურად მონაწილეობდა ოლიმპიადებში, თუმცა, როგორც თავად ამბობს, გარკვეული პერიოდის შემდეგ ეს ინტერესი ცოტათი მინელდა, რადგან უფრო მეტად პროგრამირებამ და ელექტრულმა ინჟინერიამ გაიტაცა. ამ კუთხითაც მან არაერთ ჰაკათონში გამოიჩინა თავი... სკოლის დამთავრების შემდეგ პროფესიულ განვითარებასაც ამ მიმართულებით გეგმავდა, თუმცა, არჩევანის გაკეთების დროს ისევ მათემატიკის სიყვარულმა გადააძალა...

„17-18 წლის ასაკში ძალიან ძნელია გადაწყვეტილების მიღება, თუ რა გსურს აკეთო მომავალში, თუმცა, შემოიღია თამამად ვთქვა, რომ ამ მხრივ გამომართლა, ვინაიდან, როდესაც ეროვნული გამოცდების საიტზე დავრეგისტრირდი, მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი – რა იქნებოდა ჩემი მომავალი პროფესია. ვინაიდან მათემატიკის მიმართულებით მქონდა სწავლა გადაწყვეტილი, ვიცოდი, რომ ამ მხრივ თბილისის

ვინაიდან მათემატიკის მიმართულებით მქონდა სწავლა გადაწყვეტილი, ვიცოდი, რომ ამ მხრივ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოში საუკეთესო სასწავლებელი იყო და არჩევანი მასზე შევაჩერე.

სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოში საუკეთესო სასწავლებელი იყო და არჩევანი მასზე შევაჩერე“, – ამბობს ნიკოლოზი.

როგორც ახალგაზრდა მათემატიკოსი ამბობს, მას სჯეროდა, რომ თსუს საერთაშორისო რეიტინგების გათვალისწინებით და აქ მომუშავე პროფესორების გამოცდილების დახმარებით, ყველაზე კარგი შანსი ექნებოდა საზღვარგარეთ პრესტიჟულ უნივერსიტეტში გაეგრძელებინა სწავლა. „მიუხედავად იმისა, რომ ჩემი სტუდენტობის არც ისე მცირე პერიოდს კოვიდ პანდემია დაემთხვა, საბოლოოდ, ამ პერიოდს მაინც დადებითად შევაფასებდი. ზოგადად, ძალიან პრაგმატული ადამიანი ვარ და მიყვარს რალაცების დიდი ხნით ადრე დაგეგმვა, შესაბამისად პირველი კურსის დაწყებამდევე მქონდა



გადაწყვეტილი, რომ ბაკალავრის საფეხურის დასრულების შემდეგ სწავლა ამერიკის შეერთებულ შტატებში

გამეგრძელებინა. თავიდანვე ვიცოდი, რომ ნიშნებისთვის ძალიან დიდი ყურადღება უნდა მიმეცია და ვცდილობდი, რომ ყველა საგანი 91+ ქულაზე დამეხურა. ამ პროცესში ძალიან დიდი შრომის ჩადება და, გარკვეულწილად, გართობაზე უარის თქმაც მომიწია. შეიძლება ითქვას, რომ გამოცდაზე გამოძინებული არასდროს მივსულვარ. ხშირად ვამონებდი ამერიკული უნივერსიტეტების მათემატიკის პროგრამის მიღების მოთხოვნებს. ასევე ვიცოდი, ამ პროცესში თუ რა დიდი ყურადღება ენიჭება კვლევით გამოცდილებას – ეს ერთ-ერთი ყველაზე შრომატევადი პროცესი იყო. იმ პერიოდში გამოვაქვეყნე ორი სტატია, რომელთაგან ერთ-ერთი წარვადგინე თსუს სტუდენტურ კონფერენციაზე. მაღლობელი ვარ ჩემი ხელმძღვანელის, ბატონი შალვა ზვიადაძის, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის ჩემს პროფესიულ განვითარებაში“, – ამბობს ნიკოლოზი.

2023 წლის დეკემბერში ნიკოლოზმა კიდევ ერთი რთული ეტაპი გადალახა: დამოუკიდებლად შეავსო ამერიკული უნივერსიტეტების აპლიკაციები, ატვირთა ყველა საჭირო საბუთი და გააგზავნა. ნიკოლოზმა საბოლოო არჩევანი City University of New York-ის მათემატიკის 5 წლიან სადოქტორო პროგრამაზე შეაჩერა, სადაც აგვისტოდან შეუდგება სწავლას.

რა სადისერტაციო ნაშრომი წარადგინა გელა სანდოძემ?

ენო ჯაჟალია

13 ივნისს თსუს დოქტორანტმა გელა სანდოძემ სადისერტაციო ნაშრომი დაიცვა, რომლის სახელწოდებაცაა „გარემოზე ზემოქმედების შეფასების გეოგრაფიული საფუძვლები“.

სადისერტაციო ნაშრომში პირველად და სრულყოფილად განხილული გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზმ) გეოგრაფიული საფუძვლები, მასში გაანალიზებულია ყველა ის ძირითადი გეოგრაფიული ფაქტორი, მოვლენა თუ პროცესი (ბუნებრივი, ანთროპოგენული, ბუნებრივ-ანთროპოგენული), რაც გავლენას ახდენს გეოგრაფიულ გარემოში მიმდინარე პროცესებზე.

ნაშრომის სამეცნიერო სიახლე უკავშირდება გარემოზე ზემოქმედების შეფასების გეოგრაფიული მახასიათებლების გამოვლენას და ანალიზს. ამჟამად, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში თუ მსგავსი სახის ნაშრომში, რომელიც დაკავშირებულია ამგვარ კვლევასთან და შეფასებასთან, პრაქტიკულად არ არის განხილული ბუნებრივი ზემოქმედების ფორმები. სამეცნიერო სიახლეს ასევე წარმოადგენს გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურებთან დაკავშირებით გეოგრაფიის, როგორც კომპლექსური და სივრცე-დროითი ანალიზით დაკავებული დარგის, მნიშვნელობის წარმოჩენა.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა უკავშირდება გარემოზე ზემოქმედების შეფასებით დაინტერე-

სებული სამეცნიერო, სამეურნეო თუ სახელმწიფო ორგანიზაციების საქმიანობას, სასწავლო და აკადემიურ პროცესს. გარემოზე ზემოქმედების გეოგრაფიული (კომპლექსური) შეფასება გაზრდის მის საიმედოობასა და ეფექტურობას, არაერთი დარგის ინტეგრაციის, საქართველოს რეგიონების მდგრადი განვითარების და ეკოლოგიური სტაბილურობის პერსპექტივებს. დისერტაცია ჯეროვან დახმარებას ასევე გაუწევს გარემოს მდგომარეობის კვლევით, მასზე ზემოქმედების შეფასებით და ეკოლოგიური გამოწვევების პრევენციით დაინტერესებულ ფართო საზოგადოებას.

„**თსუ-ში ვისწავლე ყველა საფეხურზე. დარწმუნებით შემოიღი ვთქვა, რომ ეს უნივერსიტეტი სტუდენტს აძლევს საშუალებას განვითარდეს, მიიღოს ცოდნა და ჩამოყალიბდეს როგორც ძლიერი პროფესიონალი. თსუ-ს ჰყავს პროფესიონალი და უმაღლესი დონის პერსონალი. ჩემთვის დიდი პატივია, რომ მქონდა საშუალება საქართველოში ნომერ პირველ უნივერსიტეტში მესწავლა**“, – ამბობს გელა სანდოძე, რომელიც აპირებს – თავისი აკადემიური მომავალი აუცილებლად დაუკავშიროს თსუ-ს.



გელა სანდოძის თემის ხელმძღვანელი პროფესორი ნოდარ ელიზბარაშვილი გახლდათ. გელა სანდოძემ 2015 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატი „ეკოლოგიის“ სპეციალობით, ხოლო 2018 წელს წარჩინებით დაამთავრა მაგისტრატურა ამავე ფაკულტეტზე გეოგრაფიაში სპეციალობით – „ლანდშაფტური დაგეგმარება“. 2019 წლიდან იგი თსუს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიის

დოქტურანტურაში სწავლობდა. „თსუ-ში ვისწავლე ყველა საფეხურზე. დარწმუნებით შემოიღი ვთქვა, რომ ეს უნივერსიტეტი სტუდენტს აძლევს საშუალებას განვითარდეს, მიიღოს ცოდნა და ჩამოყალიბდეს როგორც ძლიერი პროფესიონალი. თსუ-ს ჰყავს პროფესიონალი და უმაღლესი დონის პერსონალი. ჩემთვის დიდი პატივია, რომ მქონდა საშუალება საქართველოში ნომერ პირველ უნივერსიტეტში მესწავლა“, – ამბობს გელა სანდოძე, რომელიც აპირებს – თავისი აკადემიური მომავალი აუცილებლად დაუკავშიროს თსუ-ს.

რით არის გამოწვეული კიბერუსაფრთხოების სფეროში არსებული გენდერული უთანასწორობა

არისკები არსებობს ქალებისთვის ონლაინ სივრცეში და რით არის გამოწვეული კიბერუსაფრთხოების სფეროში არსებული გენდერული უთანასწორობა – ამ თემებზე გაეროს ქალთა ორგანიზაციამ, გაერთიანებული სამეფოს დაფინანსებითა და თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერული მეცნიერების დეპარტამენტთან თანამშრომლობით, კიბერუსაფრთხოების გენდერული ასპექტების შესახებ I სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენცია გამართა.

კონფერენციის – „კიბერუსაფრთხოების გენდერული განზომილებები“ – მიზანი იყო ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება კიბერუსაფრთხოების გენდერული ასპექტების შესახებ: როგორია გენდერული უთანასწორობა კიბერუსაფრთხოების სფეროში, რა ტიპის კიბერუსაფრთხოების არსებობს გენდერულ სფეროში, ქალების როლი საქართველოს კიბერ სამუშაო ძალაში, რა მნიშვნელობა აქვს გენდერული უთანასწორობის ხელშეწყობას კიბერუსაფრთხოების სფეროში, რა ბარიერები აქვთ ქალებს ციფრულ რესურსებზე წვდომისას და ა.შ.

კონფერენცია გახსნა და მის მნიშვნელობასა და თემის აქტუალობაზე საინტერესოდ ისაუბრა კონფერენციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერული მეცნიერების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა **მანანა ხაჩიძემ**.

„ქალთა ჩართულობა კიბერუსაფრთხოებაში სულ უფრო და უფრო მეტად არის აღიარებული, როგორც „ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების“ (WPS) დღის წესრიგის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, რომელიც მიზნად ისახავს ქალებსა და გოგონებზე კიბერუსაფრთხოების არაპროპორციული ზემოქმედების პრევენციას და აღმოფხვრას. კონფლიქტის ძირეული



მიზეზების, მათ შორის, უთანასწორობისა და მარგინალიზაციის დაძლევა, „ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების“ დღის წესრიგი მოიაზრებს პოლიტიკურ მიდგომებს მშვიდობის დამკვიდრების საქმეში. ქალთა მონაწილეობა კიბერუსაფრთხოებაში არა მხოლოდ უზრუნველყოფს მედეგობას კიბერუსაფრთხოების მიმართ, არამედ, ასევე, ხელს უწყობს სოციალურ ერთიანობას, ნდობასა და თანამშრომლობას, რაც მდგრადი მშვიდობის აუცილებელ ელემენტებს წარმოადგენს.


ცხადია, კიბერშეტევები უარყოფით ზეგავლენას ახდენს ქალებზე საქართველოშიც, რაც ისეთი ფორმებით გამოიხატება, როგორც კიბერბულინგი, კიბერადევნება და სხვა. აღნიშნული ქმედებები ქალებს გამოხატვის თავისუფლებას უზღუდავს, მათ თვითრწმენასა და თვითშეფასებას აქვეითებს. 2022 წელს გაეროს ქალთა ორგანიზაციამ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან (საქსტატი) თანამშრომლობით, განახორციელა კვლევა ქვეყნის მასშტაბით, რომე-

ლიც ეხებოდა ქალთა მიმართ ძალადობას საქართველოში. აღნიშნულმა კვლევამ საგანგაშო მონაცემები გამოავლინა ქალების და გოგონების მიმართ ძალადობის გავრცელების მასშტაბის შესახებ; გენდერული ძალადობის ფორმებს შორის იყო კიბერშევიწროება და კიბერადევნება“, – განაცხადა პროფესორმა მანანა ხაჩიძემ. გამომსვლელებმა აუდიტორიას მიანოდეს ინფორმაცია ბოლო პერიოდში ჩატარებული კვლევების შედეგების შესახებ და მიმოიხილეს სფეროში არსებული ძირითადი საგანმანათლებლო რესურსები. კონფერენციამ უმასპინძლა პანელურ დისკუსიებსა და პრეზენტაციებს ექსპერტებისა და დარგის სპეციალისტების ჩართულობით. წარმოდგენილი იყო ქართველი და უცხოელი მკვლევარების, თსუ-ს სტუდენტების მიერ შესრულებული სამეცნიერო და კვლევითი ნაშრომები. შედეგად დისკუსია დარგის ექსპერტებთან კიბერუსაფრთხოების გენდერულ ასპექტებზე.

თსუ-ს სტუდენტი მირიან კურდღელაშვილი სწავლას ჩინეთში გააგრძელებს

თსუ-ს სტუდენტი მირიან კურდღელაშვილი სწავლას შანტუნგის პროვინციის ნამყვან უნივერსიტეტში (Shandong Normal University) გააგრძელებს. მისი თქმით, ჩინეთიდან დასტური სულ ცოტა ხნის წინ მიიღო და ჯერ არ განელდება სიხარულის შეგრძნება, რომელიც ამ წერილის წაკითხვისას დაეუფლა.

„ჩინეთი ერთ-ერთი უძველესი ისტორიის მქონე ქვეყანაა, რომელმაც მსოფლიოს მრავალი ინოვაცია შესთავაზა, ამიტომ ყოველთვის მაინტერესებდა ამ კუთხით ჩემი ცოდნის გაღრმავება... უნივერსიტეტმა ჩემი იმედები გაამართლა. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ყველა ლექტორს, განსაკუთრებით კი, ქალბატონ ნანა გელაშვილს, რომელმაც შეძლო თავისი ძალისხმევით იმ მეიჯორ პროგრამების დაარსება, რის შემდეგაც მომეცა შესაძლებლობა – გავმხდარიყავი საქართველოში სინოლოგიის ერთ-ერთი პირველი სტუდენტი. ჩინური ენის შესწავლის პროცესში შევნიშნე, რომ საქართველოში ძალიან მწირი ლიტერატურული/სამეცნიერო ჩინური მასალა გვაქვს. სწორედ ამიტომ მსურს ვთარგმნო მრავალი საინტერესო მასალა და ამ ორი უძველესი ისტორიის მქონე ქვეყნის დაახლოებაში ჩემი წვლილი შევიტანო. იმის გარდა, რომ ჩინური ენის სრულყოფილად შესწავლა და მისი მეშვეობით მთარგმნელობითი საქმიანობის გაგრძელება მაქვს მიზნად დასახული, მინდა, რომ სწავლა მაგისტრატურის საფეხურზეც გაავრცელო“, – ამბობს მირიან კურდღელაშვილი.



ჯაბა სამუშია სტუდენტური პროექტის მონაწილეებს შეხვდა

შარტხია ბაროშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ სტუდენტური პროექტის – „ეთნიკური უმცირესობების აკადემიურ-საუნივერსიტეტო სივრცესთან ინტეგრაციის ხელშეწყობა“ ღონისძიება გახსნა, რომელიც – „სტუდ-ფესტი 2024“-ის მოხალისეობრივი კონკურსის ფარგლებში გაიმართა.

სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოსა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან თანამშრომლობის ფარგლებში იმართება მასშტაბური სტუდენტური ფესტივალი – „სტუდ-ფესტი 2024“, რომლის ერთ-ერთ აქტივობასაც წარმოადგენს მოხალისეობრივი კონკურსი.

კონკურსის მონაწილე თსუ-ს სტუდენტური გუნდის მიერ შემუშავებული პროექტის ძირითად ღონისძიებაზე გაიმართა სტუდენტური კონფერენცია ეთნიკური უმცირესობების შესახებ. ასევე, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდებისთვის ჩატარდა საჯარო ლექცია „მულტიეთნიკური გარემო საქართველოში“ და 1+4 საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ პრეზენტაცია.

თსუ-ს რექტორის ჯაბა სამუშიას თქმით, სტუდ-ფესტის ფარგლებში არაერთი საინტერესო პროექტი განხორციელდა, რომელშიც თსუ-ს სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი. „ჩვენი



სტუდენტების მიერ განხორციელებული პროექტი წარმოადგენს იმ მთავარს იდეას, რაზეც დგას ჩვენი სახელმწიფო და უნივერსიტეტი – ეს არის ერთიანობა განურჩევლად ეროვნების, რელიგიის, როდესაც უნივერსიტეტი დაარსდა, ის მოიაზრებოდა, როგორც საერთო საგანმანათლებლო ცენტრი ამიერკავკასიაში. ეს არის უნიკალური იდეაზე აღმოცენებული უნივერსიტეტი, ერთიანი საგანმანათლებლო სივრცე“, – განაცხადა ჯაბა სამუშიამ. მან ასევე ყურადღება გაამახვილა 1+4 საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომლის საშუალებითაც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ახალგაზრდებს შესაძლებლობა აქვთ შეისწავლონ სახელმწიფო ენა.

ღონისძიებაზე ახალგაზრდობის სააგენტოს ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტანგ ბააკაშვილმა იმ ძირითად პროგრამებსა თუ პროექტებზე ისაუბრა, რომელსაც ახალგაზრდობის სააგენტო მიმდინარე წლის განმავლობაში განახორციელებს.

კონკურსში 24 უნივერსიტეტი მონაწილეობს. მათ უნდა წარადგინონ მოხალისეობრივ პრინციპებზე დაფუძნებული, საზოგადოებისთვის კეთილდღეობის მომტანი, აქტუალური და ინოვაციური იდეა. კონკურსის მონაწილეებს ფიურის ნეურები შეაფასებენ. გამარჯვებული გუნდი გაემგზავრება და მონაწილეობას მიიღებს საერთაშორისო ახალგაზრდულ ღონისძიებაში.

ჩინური ენის შესწავლის პროცესში შევნიშნე, რომ საქართველოში ძალიან მწირი ლიტერატურული/სამეცნიერო ჩინური მასალა გვაქვს. სწორედ ამიტომ მსურს ვთარგმნო მრავალი საინტერესო მასალა და ამ ორი უძველესი ისტორიის მქონე ქვეყნის დაახლოებაში ჩემი წვლილი შევიტანო.



კომპიუტერული თამაშების ფესტივალი თსუ-ში

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სამი დღის განმავლობაში, მიმდინარეობდა კომპიუტერული თამაშების ფესტივალი „თბილისი დიჯიტალ არენა“, რომლის მთავარი ფოკუსი იყო კომპიუტერული თამაშების ინდუსტრია. ლონისძიების ორგანიზატორები იყვნენ თსუ-ს სტუდენტური კლუბი „ინოვაციური ტექნოლოგიების კლუბი“ და მისი პარტნიორი გეიმინგ სტუდო „რევოლტ ინტერთაიმენტი“.

ქართველმა და პოლონელმა ექსპერტებმა წაიკითხეს საინტერესო ლექციები და სემინარები კომპიუტერული თამაშების შექმნის თემატიკასთან დაკავშირებით; გაიმართა სხვადასხვა ტიპის აქტივობა: რეტრო გეიმინგი, სამაგიდო თამაშები, ქართული ინდი ფილმების ჩვენება და სხვა გასართობ-შემეცნებითი აქტივობები.

ფესტივალის მთავარი მიზანი იყო საქართველოში კომპიუტერული თამაშების ინდუსტრიის პოპულარიზაცია და განვითარება. სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა სხვადასხვა საინტერესო ლონისძიება: გეიმჯემი, სადაც 48 საათის განმავლობაში ერთმანეთს ეჯიბრებოდა 33 გუნდი, ხოლო საბოლოო პროტოტიპის შექმნა შეძლო 17-მა გუნდმა, გაიმართა ი-სპორტის შიდა საუნივერსიტეტო შეჯიბრები Fifa-სა და Mobile legend-ში, მოენყო ქართული გეიმინგ სტუდიების შოურუმი, ქოსფლეის შეჯიბრი.

„თბილისი დიჯიტალ არენას“ დასკვნითი დღე დაეთმო გამარჯვებული გუნდებისა და მონაწილეების გამოვლენას და დაჯილდოების ცერემონიას.



თსუ-ს წიაღში ბიბლიის ძველი ქართული ტექსტების ციფრული დამუშავება და ელექტრონული გამოცემების მომზადება იწყება



ნაბო ოზოლაძე

თსუ-ს პროფესორ ანა ხარანაულის ხელმძღვანელობითა და პროგრამის დოქტორანტების (ლალი ვაშაყმაძე, თამარ მაგრაქველიძე) მონაწილეობით ქრისტიანული აღმოსავლეთის კვლევების ცენტრის ბიბლიოლოგიის მიმართულ ახორციელებს რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებულ ფუნდამენტურ კვლევას — „მცირე წინასწარმეტყველთა წიგნების ძველი ქართული თარგმანები (ტექსტის გამოცემა, გამოკვლევა)“.

ფუნდამენტური კვლევის მიზანს წარმოადგენს მცირე წინასწარმეტყველთა ძველი ქართული თარგმანისა და მისი წყაროების გამოცემა და კვლევა. პროექტის ფარგლებში მომზადდება ორი ტიპის – სინოტიკური და კრიტიკული – გამოცემა, ხოლო კვლევითი ნაწილი დაეთმობა ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: თარგმანის წარმომავლობა, ტექსტის ისტორია, თარგმანის ენა და თარგმანის ტექნიკა. ასევე, მომზადდება მცირე წინასწარმეტყველთა ქართული თარგმანების შემცველი ბიბლიური, ეგზეგეტიკური და ლიტურგიკული ხელნაწერების კატალოგი. გამოცემის დაბეჭდვა გიოტინგენის სეპტუაგინტას ინსტიტუტის სერიაში იგეგმება, რომელიც სეპტუაგინტას თარგმანებს დაეთმობა.

„მოგესხენებათ, ბიბლიის კვლევას საქართველოში საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს, რომლის პირველი ეტაპიც 2017 წელს ბიბლიის ძველი ქართული თარგმანის გამოცემით დასრულდა. თუმცა ახალი ეპოქა ახალ მოთხოვნებს აყენებს და უკვე აუცილებელი ხდება და, შეიძლება ითქვას, დავიანებულიც კია ბიბლიის ძველი ქართული ტექსტების ციფრული დამუშავება და ელექტრონული გამოცემების მომზადება. ამ მიმართულებით ქრისტიანული აღმოსავლეთის კვლევების ცენტრსა და გიოტინგენის სეპტუაგინტას ინსტიტუტს ჰუმბოლდტის ფონდის დაფინანსების მოსაპოვებლად წარდგენილი გვაქვს ერთობლივი პროექტი, თუმცა ჯერ კონკურსის შედეგების მოლოდინში ვართ“, – აღნიშნავს ქრისტიანული აღმოსავლეთის კვლევების ცენტრის თანამშრომელი ნინო გიორგაძე.

რა თემას ეხება გიოტინგენის სეპტუაგინტას ინსტიტუტთან ერთობლივი თანამშრომლობის ფარგლებში ჰუმბოლდტის გრანტზე შეტანილი კვლევითი პროექტი? – ამ კითხვაზე ქრისტიანული აღმოსავლეთის კვლევების ცენტრის თანამშრომელი ნათია მიროტაძე გვპასუხობს: „უპირველეს ყოვლისა, გვსურს, რომ თანამშრომლობას, რომელსაც ცალკეული მკვლევრების დონეზე უკვე ხანგრძლივი ისტორია აქვს, ინსტიტუტური სახე მიეცეს. შესაბამისად, ანა ხარანაულის, როგორც „ჰუმბოლდტელისა“ და ქრისტიანული აღმოსავლეთის კვლევების ცენტრის დირექტორის, ხელმძღვანელობით გიოტინგენის სეპტუაგინტას ინსტიტუტთან ერთად მომზადდა ინტერინსტიტუტური პროექტი – „მცირე წინასწარმეტყველთა წიგნებისა და მეოთხე და მეექვსე გალობათა ელექტრონული გამოცემა“. ჯერჯერობით, შედეგების მოლოდინში ვართ და ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი პროექტი მოიპოვებს დაფინანსებას. ამ თანამშრომლობის უმთავრესი მიზანი, გარდა ტექსტების ელექტრონული გამოცემისა, არის ის, რომ დაიხვეწოს როგორც ბერძნული, ასევე, ქართული ბიბლიისათვის ელექტრონული გამოცემების მომზადების მეთოდოლოგია, შემუშავებულ და გამოყენებულ იქნეს ერთი და იგივე მიდგომები თუ პროგრამული ხელსაწყოები. თანამშრომლობით შექმნილი სამეცნიერო პროდუქცია და ორი ინსტიტუტის საერთო მიზნები, რომლებიც ამ პროექტის ფარგლებში მიიღწევა, იმის გარანტიცაა, რომ მომავალში, თუნდაც, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად განხორციელებული კვლევები თუ მომზადებული გამოცემები იქნება ურთიერთთავსებადი და, რაც მთავარია, სანდო ორივე ინსტიტუტისთვის. აღნიშნული კიდევ უფრო გაზრდის სამომავლო თანამშრომლობის შესაძლებლობებსა და ასპარეზს. ამასთან, თავად ჰუმბოლდტის ფონდის მოთხოვნაა, რომ პროექტში რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა მეცნიერი – მაგისტრანტები და დოქტორანტები – იყოს ჩართული ორივე ინსტიტუტიდან, რაც კარგი საშუალება იქნება ჩვენთვის როგორც კონტაქტების დასამყარებლად, ასევე კვალიფიკაციის ამაღლებისა თუ კარიერული წინსვლისათვის. მოკლედ, პროექტზე დიდ იმედს ვამყარებთ და, იმედი, გამოვა“, – ამბობს ნათია მიროტაძე.

ნინო გიორგაძე: „თსუ-ში 2008 წლიდან მოქმედებს სამაგისტრო პროგრამა – „შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგია“ (პროგრამის ხელმძღვანელები: ანა ხარანაული და ნათია ჩანტლაძე), 2012 წლიდან კი სადოქტორო პროგრამა – „ქართული ბიბლიის ფილოლოგია“ (პროგრამის ხელმძღვანელები: ანა ხარანაული და დარეჯან თვალთვაძე). ამასთანავე, 2019 წლიდან თსუ-ში ფუნქციონირებს ქრისტიანული აღმოსავლეთის კვლევების ცენტრი.

ქრისტიანული აღმოსავლეთის კვლევების ცენტრი რამდენიმე მიმართულებას მოიცავს: ბიბლიოლოგიას, არმენოლოგიას, ხელოვნებათმცოდნეობას, ისტორიულ გეოგრაფიას. ცენტრისა და სასწავლო პროგრამების მიზანია – წაახალისოს და გაააქტიუროს საქართველოში ქრისტიანული აღმოსავლეთის კვლევები, რათა სამეცნიერო პროდუქციით წარმოჩინდეს ქართული ქრისტიანული კულტურა, როგორც ერთიანი ქრისტიანული კულტურული სამყაროს ნაწილი, მისი მემკვიდრე და ზოგჯერ ერთადერთი მოწმეც კი. ამასთან, ცენტრის მიზანია შეიტანოს წვლილი და თავისი ხედავ ქრისტიანული აღმოსავლეთის კვლევის ევროპულ სკოლებში.

„ორი იბერია - ევროპის ორი კარიბჭე“ - საერთაშორისო კონფერენცია თსუ-ში

ქართველი, გერმანელი, იტალიელი, ესპანელი და ბრიტანელი მეცნიერები მონაწილეობდნენ I საერთაშორისო კონფერენციაში: „ორი იბერია - ევროპის ორი კარიბჭე“. ლონისძიების მიზანი იყო კავკასიური იბერიისა და ესპანური იბერიის უძველესი კულტურების შესწავლა, მათი რეცეფცია და ამ ორ კულტურათა შორის პარალელებისა და სავარაუდო კონტაქტების კვლევა. კონფერენცია 3 უნივერსიტეტის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, მადრიდის კომპლუტენსეს უნივერსიტეტისა და კავკასიის უნივერსიტეტის ორგანიზებით გაიმართა.

„კონფერენციის კონცეფცია, რომელიც ემყარება კავკასიური იბერიისა და იბერიის ნახევარკუნძულის უძველესი კულტურების შესწავლას, ძალიან საინტერესოა. ვფიქრობ, ეს ლონისძიება ჩვენს ქვეყნებსა და უნივერსიტეტებს შორის ურთიერთობებს კიდევ უფრო გააღრმავებს“, – აღნიშნა თსუ-ს რექტორის მოადგილემ ერეკლე ასტახიშვილმა.

საქართველოში ესპანეთის სამეფოს საელჩოს საქმეთა რწმუნებულმა მარკოს გრანადოს გამესმა მადლობა გადაუხადა კონფერენციის ორგანიზატორ უნივერსიტეტებს. „ტერიტორიული სიშორის მიუხედავად, ჩვენს ქვეყნებს ერთმანეთთან აკავშირებს კულტურული სიახლოვე. ეს ჰარმონიული ურთიერთობა სხვადასხვა მოვლენაში იგრძნობა, მათ შორის, ყოველდღიურ ცხოვრებაში. მჯერა, რომ აქ წარმოდგენილი დასკვნები შესაძლებლობას მოგვცემს, კიდევ უფრო მჭიდრო კავშირი დავამყაროთ ჩვენს ორ იბერიულ რეალობას შორის“, – განაცხადა მარკოს გრანადოს გამესმა.

როგორც ჩვენთან საუბარში კონფერენციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებულმა პროფესორმა ეკატერინე კობახიძემ აღნიშნა, კონფერენციის სამივე დღე საკმაოდ ნაყოფიერი აღმოჩნდა. დამსწრე საზოგადოების ყურადღება მიიპყრო კონფერენციის მონაწილეთა საინტერესო სამეცნიერო მოხსენებებმა და დისკუსიამ, ასევე, კონფერენციის ფარგლებში დაგეგმილმა სხვადასხვა, ე.წ. არაფორმალურმა აქტივობებმა. „კონფერენცია დიდი წარმატებით ჩატარდა, რასაც დაერთო: ქართული და ესპანური ფოლკლორული კონცერტი, რომელიც ქალაქ თბილისის მუნიციპალური საკრებულოს ისტორიულ შენობაში გაიმართა, მთარგმნელთა მრგვალი მაგიდა და ქართული და ესპანური ლვინოების დეგუსტაცია კავკასიის უნივერსიტეტში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ესპანეთის სამეფოს საქმეთა რწმუნებულმა საქართველოში მარკოს გრანადოს გამესმამ. ყველა ეს აქტივობა ემსახურებოდა მთავარ მიზანს – „ორი იბერიის“ – იბერიის ნახევარკუნძულისა და ე.წ. „კავკასიის იბერიის“ ხალხთა კულტურული დაახლოების ხელშეწყობას, რაც, ჩემი აზრით, წარმატებით განხორციელდა. უკვე დაისახა ჩვენს უნივერსიტეტებს შორის სამეცნიერო და აკადემიური თანამშრომლობის კონკრეტული სამომავლო გეგმა, რის ხორცშესხმასაც უახლოეს მომავალში ვაპირებთ. ასევე დაიგეგმა მომდევნო II კონფერენცია, ამჯერად – მადრიდში, რომელიც 2026 წლის გაზაფხულზე უნდა გაიმართოს“, – განაცხადა ეკატერინე კობახიძემ.



ყველა ეს აქტივობა ემსახურებოდა მთავარ მიზანს – „ორი იბერიის“ – იბერიის ნახევარკუნძულისა და ე.წ. „კავკასიის იბერიის“ ხალხთა კულტურული დაახლოების ხელშეწყობას, რაც, ჩემი აზრით, წარმატებით განხორციელდა. უკვე დაისახა ჩვენს უნივერსიტეტებს შორის სამეცნიერო და აკადემიური თანამშრომლობის კონკრეტული სამომავლო გეგმა



თსუ-ს ჰიდრომეტეოროლოგიური ლაბორატორიის აღჭურვა მდ. ვერეზე

თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ჰიდრომეტეოროლოგიური ლაბორატორია დაათვალიერეს თსუ-ს რექტორის მოადგილემ **კახაბერ ჭიჭილაძემ** და თსუ-ს კანცლერმა **ლაშა სალინაძემ**.

მდინარე ვერეზე 2015 წლის კატასტროფული მოვლენის შემდეგ ლაბორატორიის თანამშრომლებს არ შეუწყვეტიათ მდინარისა და მეტეოროლოგიურ ელემენტებზე ყოველდღიური მონიტორინგი, მიუხედავად იმისა, რომ ლაბორატორია უკვე აღარ არსებობდა და ყოველი ანათვლის აღება გარკვეულ რისკთან იყო დაკავშირებული; ლაბორატორიაში არ შეწყვეტილა სასწავლო პროცესიც — თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები გადიან სასწავლო პრაქტიკას.

2023-2024 წლებში საქართველოს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და თსუ-ს დაფინანსებით შეიქმნა თანამედროვე ჰიდრომეტეოროლოგიური სა-გუმავო, რომლის მეშვეობით გარემოს ეროვნულ სააგენტოსა და ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტთან ერთად ხდე-



ბა მდინარე ვერეს აუზში მოსალოდნელი გაფართოების პროგნოზირება. გარდა წყალდიდობა-წყალმოვარდნის ადრეული ამისა, აიგო ჰიდრომეტეოლოგიური ხიდი, სა-

იდანაც ჩატარდება მდინარის წყლიანობის გაზომვები, განსაკუთრებით წყალმოვარდნებისა და წყალდიდობების დროს. „ეს ხიდი არის მხოლოდ დასაწყისი იმ საქმისა, რომლის განხორციელებასაც ვვგეგმავთ ლაბორატორიისთვის. ჩვენი მიზანია მეცნიერების ხელშეწყობა მათ საქმიანობაში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გააგრძელებს ამ ლაბორატორიის აღჭურვას თანამედროვე აპარატურით“, — განაცხადა თსუ-ს კანცლერმა **ლაშა სალინაძემ**.

თსუ ჰიდრომეტეოროლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელის მერაბ ალავერდაშვილის თქმით, ხიდან ერთად გაიყვანეს წყლის დამაწყნარებელი არხი, დამონტაჟდა წყლის დონების საზომი ლარცა, გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ წყლის დონებისა და ატმოსფერული ნალექების ავტომატური, უწყვეტად გადამცემი დანადგარი, ხოლო ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის მიერ — ავტომატური მეტეოსადგური, შემოიფარგლა მეტეოროლოგიური მოედანი და აშენდა მეტეოროლოგიურ ხელსაწყობა შესაბამის სათავსო.

სტატია ევროკავშირში წევრობის გზაზე მყოფი ქვეყნების შესახებ


თამარ ლალიანი

სულ ცოტა ხნის წინ მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალში TEM JOURNAL – Technology, Education, Management, Informatics (<https://www.temjournal.com>) გამოქვეყნდა თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის გივი ბედიანაშვილის და ამავე ფაკულტეტის დოქტორანტ გიორგი კობრიძის ერთობლივი სტატია: „ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე მყოფი ქვეყნების გლობალური მდგრადი კონკურენტუნარიანობა“. ჟურნალი წარმოდგენილია SCOPUS-ის და Web of Science-ის ბაზებში.

„სტატიაში გამოკვლეულია კონკურენტუნარიანობის პრობლემა ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკურ სისტემებში კონფორტაციული გლობალიზაციის გავლენის გათვალისწინებით (აღსანიშნავია, რომ თანამედროვე პირობებში კონფორტაციულ გლობალიზაციის თავისებურებების შესახებ პირველი პუბლიკაციები ეკუთვნის ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორს, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას). როგორც აღნიშნავენ ავტორები, გლობალური მდგრადი კონკურენტუნარიანობის კონცეფცია, მის შესაბამის მოდელთან ერთად, უნდა განიხილებოდეს დღევანდელი გამოწვევების ადეკვატურ პასუხად. კვლევა ეფუძნება ისეთ ემპირიულ მეთოდებს, როგორცაა პანელური რეგრესია და სტრუქტურული განტოლების მოდელირება. თანამედროვე პირობებში



მზარდი გაურკვევლობით გამომწვეული პრობლემები იწვევს ქვეყნების კონკურენტუნარიანობაზე ახალი კონცეპტუალური შეხედულებების ჩამოყალიბებას და მათი პრაქტიკული გამოყენების აუცილებლობას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე მყოფი ქვეყნებისთვის“, — აღნიშნა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებულმა პროფესორმა გივი ბედიანაშვილმა, რომელმაც საუბრის დროს ხაზი გაუსვა ფაკულტეტის ადმინისტრაციის მზაობას პროფესორ-მასწავლებლების სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის კუთხით.



კვლევაში გამოყენებულია მრავალფეროვანი მონაცემები სვადასხვა საერთაშორისო წყაროდან. მონაცემები შეიცავს 20 ცვლადს, რომლებიც აღწერს 36 ქვეყნის სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და გარემოსდაცვით მახასიათებლებს (ევროკავშირის წევრი – 27 და ევროკავშირის კანდიდატი – 9).

განსაკუთრებით საინტერესოა ნაშრომში სტრუქტურული განტოლების მოდელირების ტექნიკის გამოყენებით განხორციელებული კვლევა, რომელიც მოიცავდა ეკონომიკურ და სოციალურ ფარულ ცვლადებს, როგორცაა კორუფციის კონტროლი, მთავრობის ეფექტიანობა, რე-

სურსების ინტენსივობა, ადამიანისეული განვითარების ინდექსი, ინტელექტუალური კაპიტალი და სოციალური სფეროს კომპონენტები. კვლევამ აჩვენა, რომ ეკონომიკური პირობების განმსაზღვრელი ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლადია რესურს ინტენსიურობის დონე, ხოლო სოციალური პირობების შემთხვევაში ინტელექტუალური კაპიტალი. გარდა ამისა, აღნიშნულმა მოდელურმა კვლევამ გამოავლინა, რომ ქვეყნებში სოციალური პირობების მასშტაბი უფრო დიდია, ვიდრე ეკონომიკური პირობების, რაც ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ სოციალური ინსტიტუტები ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით გლობალური გაურკვევლობისა და კონკურენციის სამყაროში.

კვლევის შედეგები საინტერესოა ევროკავშირში განვითარების გზაზე მყოფი ქვეყნების მდგრადი კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობის მექანიზმების ფორმირებისთვის კონტექსტით.

საინტერესო ისტორია აქვს ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის გივი ბედიანაშვილის და დოქტორანტ გიორგი კობრიძეს თანამშრომლობას. ბატონი გივი იყო გიორგის ლექტორი ჯერ კიდევ მაგისტრანტი კვლევებით დაინტერესა, რაც მათ საკმაოდ კარგად გამოუვიდათ შემდგომ კვლევებზე ერთად მუშაობისთვის. ზემოთ აღნიშნული სტატია მათი უკვე მესამე ერთობლივი ნაშრომია. გიორგი ნიჭიერი ახალგაზრდა მეცნიერი მკვლევარია. ამჟამად დოქტორანტურაში სწავლის პარალელურად იგი პრაქტიკულ საქმიანობას ეწევა ეროვნულ ბანკში.

ერეკლე ტატიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი კონფერენცია

თამარ ლალიანი

დასავლეთ ევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტმა, 3 ივნისს, ჩაატარა მეორე სამეცნიერო კონფერენცია – „ტექსტი და ინტერპრეტაცია“ – რომელიც ამ ინსტიტუტის ერთ-ერთი დამაარსებლის, ცნობილი მთარგმნელის, პოლიგლოტისა და ერუდიტის, დასავლური ენების კათედრის პირველი გამგის, პროფესორ ერეკლე ტატიშვილის ხსოვნას მიეძღვნა.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა დასავლეთევროპული ენებისა და

ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა **მანანა გელაშვილმა**, რომელმაც ვრცლად ისაუბრა ერეკლე ტატიშვილის ღვაწლზე.

„ერეკლე ტატიშვილი ივანე ჯავახიშვილმა მოიწვია ახლადშექმნილ უნივერსიტეტში საერთაშორისო სამართლისა და დიპლომატიის ისტორიის ლექტორად. თუმცა, როგორც საბჭოთა ხელისუფლებისათვის პოლიტიკურად არასანდო პროფესორს, მას მალე შეუზღუდეს ამ მიმართულებით მოღვაწეობის საშუალება. მაშინ ერეკლე ტატიშვილმა, რომელსაც განათლება გერმანიის, საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის უნივერსიტეტებში ჰქონდა მი-



ღებული, თსუ-ში ევროპული ენებისა და ლიტერატურის სწავლება დაიწყო და ასე თანდათან ფილოლოგიის ფაკულტეტის ფარგლებში გაჩნდა ჯგუფი, რომელიც დასავლეთევროპულ ენებსა და ლიტერა-

ტურას შეისწავლიდა და რომელიც დროთა განმავლობაში უნივერსიტეტის ერთ-ერთ ძლიერ და მოთხოვნად ინსტიტუტად ჩამოყალიბდა“, — აღნიშნა პროფესორმა მანანა გელაშვილმა, რომელმაც ასევე ისაუბრა ერეკლე ტატიშვილის ესეებსა და თარგმანებზე, განსაკუთრებით ნიცეს „ესე იტყოდა ზარატუსტრას“ თარგმანზე, რომელიც მთარგმნელისათვის საბედისწერო აღმოჩნდა და სტალინური რეპრესიების დროს მისი დაპატიმრების ერთ-ერთ საბაბადაც იქცა.

შესავალი სიტყვის შემდეგ ნაჩვენები იყო დოკუმენტური ფილმი „კაცი-ფასკუნ-



ა-14 გვ-და

ჯი“ (ავტორი ნინო კაკულია), რომელშიც საინტერესოდ არის წარმოდგენილი ერეკლე ტატიშვილის ცხოვრების გზა. ფილმის შემდეგ მადლობა გადაუხადეს მის ავტორს ნინო კაკულიას, რომელმაც არა მხოლოდ ერეკლე ტატიშვილზე, არამედ კიდევ რამდენიმე საინტერესო ფილმი შექმნა იმ პროფესორებზე (გივი გაჩეჩილაძე, არიანე ჭანტურია და სხვ.), რომელთა მოღვაწეობა დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტს უკავშირდება.

კონფერენციაზე ბევრი საინტერესო მოხსენება იყო წარმოდგენილი. ცნობილმა მთარგმნელმა და ლიტერატურათმცოდნემ პაატა ჩხეიძემ თავისი მოხსენებით – „მთხრობელის პრობლემისათვის რომანში“ – დამსწრეებს გააცნო თავისი დაკვირვებები, თუ როგორ იცვლება მთხრობელის როლი სხვადასხვა ტიპის რომანში. ირაკლი ცხვედიანის მოხსენება თანამედროვე ამერიკელი ავტორის დონ დელილოს რომანს იკვლევდა, რომელიც დღეს, საზღვარგარეთ, ძალიან პოპულარულია ახალი ეკოპოეტიკის თვალსაზრისით. დავით მაზიაშვილის მოხსენება – „12 პაემანი, როგორც ნუგეში“ – შინაარსობრივად ერთად ვიზუალური თვალსაზრისითაც იყო საინტერესო, რადგან მან ბოეციუსის ცნობილი ფილოსოფიური თხზულებისა და მარიამ ალექსიძის მიერ დადგმული თანამედროვე ბალეტის – „12 პაემანი“ – სიღრმისეულ კავშირზე ისაუბრა. ინტერპრეტაციის ფილოსოფიურ და ფსიქოლოგიურ მხარეზე გაამახვილა ყურადღება დავით ამირეჯიბმა მოხსენებაში „ინტერპრეტაცია, როგორც ტექსტის ენტელეხია და კინეზისი“.

სასიხარულოა, რომ წელს კონფერენციაზე ცალკე სექციად იყო წარმოდგენილი ტექსტის თეატრალური და კინემატოგრაფიული ინტერპრეტაცია. რა სახის ცვლილებებს გადის დიდი ავტორების ტექსტები, რომელიც თეატრისა და კინოს მასაზრდოებელი მასალა... რატომ აღმოაჩენს და ახლად წაიკითხავს ყოველი ეპოქა დიდ ავტორებს? – ეს და მრავალი სხვა პრობლემა გაუღერდა ამ სექციას. სექციის თავმჯდომარემ მანანა პაიჭაძემ საინტერესოდ წარმოადგინა – რა სახეს იღებს მერიმეს ნოველა „კარმენი“ ბიზეს ოპერასა და კარლოს საურას ფილმში. შექსპირის პიესების თანამედროვე ინტერპრეტაციებს მიეძღვნა მაკა ვასაძისა და პროფესორ ქეთევან გრძელიძის, ლელა ნიფურიას მოხსენებები.

განსაკუთრებით მისასალმებელია კონფერენციაში ბევრი ახალგაზრდა მეცნიერის მონაწილეობა და მათი საკვლევო თემატიკის მრავალფეროვნება.

განსაკუთრებით მისასალმებელია კონფერენციაში ბევრი ახალგაზრდა მეცნიერის მონაწილეობა და მათი საკვლევო თემატიკის მრავალფეროვნება. მათ შორის იყვნენ ახალგაზრდა, მაგრამ უკვე მრავალი ნაშრომის ავტორები და ბევრი ადგილობრივი და საერთაშორისო გრანტიორები თამარ გელაშვილი და ლიზი ძაგნიძე; ახალგაზრდა დოქტორები ლილიანა გოგიჩაიშვილი და ქეთევან ჯმუხაძე.

დასასრულ, ინსტიტუტის ხელმძღვანელმა მანანა გელაშვილმა შემაჯამებულ სიტყვაში აღნიშნა, რომ ის ფაქტი, რომ კონფერენციაში სხვადასხვა თაობის მკვლევრები მონაწილეობენ, ძალიან ზუსტად გამოხატავს უნივერსიტეტის არსსა და დანიშნულებას – „ეს არის განგრძობადობა და ტრადიციაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის შექმნა და ახალი თაობის აღზრდა“. ამ თვალსაზრისით, კონფერენცია, გარკვეული სახით, სიმბოლური იყო, რადგან ერეკლე ტატიშვილის მიერ ჩაყრილ საფუძველზე შექმნილი დასავლური ენებისა და ლიტერატურის ინსტიტუტი მის მიერ დაფუძნებული მაღალი სტანდარტებით აგრძელებს საქმიანობას.

ქეთევან ანთელავას კოლეგები და სტუდენტები ემშვიდობებიან

ნინო ხაუალია

უკვე მესამედ, ამ მოკლე ხანში, ჩვენმა ინსტიტუტმა, კოლეგებმა, სტუდენტებმა საშინელი დარტყმა განვიცადეთ – პროფესორების თემურ კობახიძისა და ვასილ კაჭარავას შემდეგ დაკარგეთ ასოცირებული პროფესორი, პირველი ამერიკისმცოდნეობის დოქტორი, რომელმაც დისერტაცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიცვა – ქეთევან ანთელავა. განათლებით ფილოლოგი, ინგლისური ლიტერატურისა და ენის სპეციალისტი, იგი მოგვიანებით ამერიკისმცოდნეობით დაინტერესდა, აირჩია ქალთა საკითხები და 2015 წელს ამერიკელ მეცენატ ქალებზე ძალიან საინტერესო დისერტაცია დაიცვა. ქეთიმ არაერთი სტატია გამოაქვეყნა და მრავალ ადგილობრივ თუ საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა, მაგრამ ჩვენთვის განსაკუთრებით ძვირფასია, მისი, როგორც პედაგოგის საქმიანობა, მისი დამოკიდებულება სტუდენტებისადმი. სტუდენტებიც იმითვე პასუ-



ხოვდნენ. ყოველი ლექტორის შეფასების მთავარი განმსაზღვრელი ხომ სწორად ისინი არიან. ამ ტრაგედიამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, თუ ვინ იყო ქეთი მათთვის. ამდენი თბილი სიტყვა, გამოთქმული არა მარტო მისი პიროვნული ღირსებების, არამედ არაჩვეულებრივი პედაგოგიური

ღვანლის მიმართ, არც ისე ხშირია. „საყვარელი ლექტორი და უბრალოდ ეტალონი“, „გამორჩეული ლექტორი, რომელთანაც ჩვენ, ამერიკისმცოდნეები ცალკე სკოლას გავდივართ“, „უღრმესი მადლობა პროფესორო, ძალიან მიყვარხარ“ – ეს მხოლოდ მცირე ნაწილია იმ გამოხმაურებისა, რომელიც სოციალურ ქსელში ამ ტრაგედიიდან რამდენიმე საათში გავრცელდა. ეს სიტყვები რომ წაეკითხა, რა ბედნიერი იქნებოდა!

როდესაც ასეთი ადამიანი, პედაგოგი, სპეციალისტი ასე უდროოდ გვტოვებს, ამასთან შეგუება ძალიან რთულია. ჩვენც ძალიან გვიჭირს ამ ნიჭიერი, ჭკვიანი, განათლებული, მრავალმხრივი შესაძლებლობების მქონე კოლეგის და, უბრალოდ, ლამაზი, ელევანტული, დახვეწილი ადამიანის დაკარგვა. ვუსამძიმრებთ მის ყველა ახლობელს, მეგობარს, კოლეგა-ამერიკისმცოდნეებსა და ფილოლოგებს თბილისსა თუ ქუთაისში, სტუდენტებს პროფესორ ქეთევან ანთელავას გარდაცვალებას. მისი ხსოვნა მუდამ ჩვენთან დარჩება.

თსუ ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტი

აუცილებლად უნდა ვიცოცხლო...

თსუს ენათმეცნიერების ინსტიტუტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს, რომ გარდაიცვალა იზოლდა ჩანტლაძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, არნოდ ჩიქოვას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, სვანური ენის თვალსაჩინო მკვლევარი.

იზოლდა ჩანტლაძემ 1962 წელს წარჩინებით დამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიურ ენათა განყოფილება. 1962-1965 წლებში იყო ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილების ასპირანტი (ხელმძღვანელი – აკადემიკოსი არნოდ ჩიქოვავა). 1969 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე – „ძველი სვანური ხალხური სიმღერების ენისა და ცოცხალი მეტყველების შეპირისპირებითი ანალიზი“, 1990 წელს კი – სადოქტორო დისერტაცია (თემა – „სახელთა პარადიგმატული სისტემა სვანურში“). იზოლდა ჩანტლაძე ნახევარ საუკუნეზე მეტხანს (1967 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე) მუშაობდა ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილებაში; იგი არის 350-მდე სამეცნიერო ნაშრომის (მათ შორის – 12 ნიგნის) ავტორი. ქალბატონი იზოლდა გამოირჩეოდა პედაგოგიური მოღვაწეობითაც. მან აღზარდა მრავალი სტუდენტი, 15 დოქტორანტი. იყო 11 აკადემიური სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი ინტერესი სასკოლო განათლებისადმი: იყო სკოლა „აკადემოსის“ დამაარსებელი და ერთგული გულშემატკივარი. უდავოდ დიდია ამაგდარი მეცნიერის ღვაწლი. იგი იყო იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (2017 წ.), 2023 წელს კი ახყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობისათვის დაჯილდოვდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედლით.

რას იხსენებენ იზა ჩანტლაძის მოწაფეები და მოწაფეთა მოწაფეები

„ქალბატონი იზა უთვალავ დადებით თვისებათა შორის აუცილებლად აღსანიშნავია გვერდში მყოფთა მიმართ ის მადლიერების გრძნობა, რომელიც მხოლოდ დიდი ადამიანებს ახასიათებთ... ჩვენც კი, მისი აღზრდილები, მისგან ყველანაირად ხელმომართულები, ვერ ვასწრებდით მადლობის თქმას, ის თავად გვიხდიდა



მადლობას და ამით კიდევ უფრო მეტად გვაგრძობინებდა თავს ვალდებულად – მასთან ერთად მუხლჩაუხრელად გვეშრომა... თითქოს გვმოდერავდა, როცა ბოლო დროს დაწერილ ერთ-ერთ ნერილში წერდა: „მეცნიერება ურთულესი ფენომენია – მარტო ნიჭი და სიბეჯითი ვერაფერს გიზამს, თუ გულშემატკივრები არ გყავს! ვფიქრობ, რომ ჩემი ხელნაწერები ხელნაწერებადვე დარჩებოდნენ და 13 ნიგნად ან 300 სტატიად არ გადაიქცეოდნენ, რომ არ მყავდნენ უახლოესი ადამიანები: ქეთევან მარგაიანი-სუბარი თუ რუსუდანი იოსელიანი (ჩემი ყოფილი დოქტორანტი), ლევან ვაშაკიძე (ენათმეცნიერების ინსტიტუტის ტექნიკური მენეჯერი), თინათინ გაბროშვილი (ყველა ჩემი მონოგრაფიის ტექნიკური რედაქტორი – ჩემი ყოფილი სტუდენტი) და ნანა ქავთარაძე (დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის სპეციალისტი). შესაძლოა გამომცემლობამ რამე სასწრაფოდ მოითხოვოს და ისინი ყოველთვის მზად არიან, მთელი ღამე გაათიონ ტექსტზე მუშაობაში, ოღონდ რამე არ გაფუჭდეს – გამორჩეული მადლობა მათ!“ – ასეთი იყო ქალბატონი იზა, სიკეთის ათმაგად დამნახავი და ერთგულების დამფასებელი...

ჩვენ, მისი ყოფილი მოწაფეები და უმცროსი კოლეგები, ვერასოდეს გადავიხდით ჩვენი მოძღვრის ამავს, ვერასოდეს დავივიწყებთ მის გულისხმიერებას და გვერდში დგომას თითოეული ჩვენგანისადმი... ვერც სათანადო მადლობის სიტყვებს შევარჩევთ მასსავით... ჩვენ

მხოლოდ შევეცდებით – ღირსეულად დავასრულოთ მის მიერ წამოწყებული, დაუთმავრებელი საქმეები...

ბოლო დროს ახალ, მეტად საჭირო მონოგრაფიაზე მუშაობდა და შვილივით ეფერებოდა თითოეულ ახალ თავს... და კვლავ მადლობებს იხდის ამ საქმეში დახმარებისთვის, მაშინ, როცა მას უნდა უხდიდეს მადლობას მთელი საქართველო... აი, რა დაწერა ბოლოს ქალბატონმა იზამ: „სამი წელია ქართველ და უცხოელ კოლეგებთან ერთად ვმუშაობ ახალ ნიგნზე – „ევროპული მკვლევრები სვანეთში“. უკვე საქართველოს მაღალაკადემიურმა გამოცემებმა გამოაქვეყნეს ოთხი სტატია და წაკითხულ იქნა შესაბამისი მოხსენებები საერთაშორისო თუ ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებზე. მასალების მონოდებაში ძალიან გვეხმარებიან ოქსფორდის უნივერსიტეტის ბოდლეს ბიბლიოთეკა, საქართველოს პარლამენტის საჯარო ბიბლიოთეკა და მესტიის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი... ამიტომ აუცილებლად უნდა ვიცოცხლო...“

დაიხ, თქვენ ცოცხლობთ და მუდამ იცოცხლებთ იმ თქვენს შრომებში, რომლებიც დიდი ხანია გასცდნენ საქართველოს ფარგლებს... იცოცხლებთ თქვენი დიდი სამეგობროს, კოლეგების, მოწაფეების გულებში, იმ ქართველოლოგების გულებსა და ნაშრომებში, რომლებიც ერთ სტრიქონსაც ვერ დანერგთ თქვენი მეცნიერული მემკვიდრეობის გვერდის ავლით...

დიდი მადლობა ჩვენგან, თქვენი აღზრდილებისგან, ქალბატონო იზა!




მამუკა ჭანტურაიას წიგნი დიდი ვაჟას თხზულებაზე



მაია ტორაძე

ცოტა ხნის წინ უნივერსიტეტის გამომცემლობამ დასტამბა თსუ-ს ვაჟა-ფშაველას მემორიალური მუზეუმის მენეჯერის, ფილოლოგიის დოქტორ მამუკა ჭანტურაიას წიგნი „ვაჟა-ფშაველას ეპოსი – „ძალიკა ხიმიკაურის“ პრობლემატიკა და მხატვრული სტრუქტურა“.

„ძალიკა ხიმიკაური“ იმ პოემათა რიგს განეკუთვნება, რომლებშიც მთელი სისრულით გამოვლინდა ვაჟა-ფშაველას საუკეთესო მხატვრული თავისებურებანი. აქედან გამომდინარე, ეს ქმნილება პოეტის ერთ-ერთ რჩეულ ეპიკურ თხზულებად უნდა ჩაითვალოს. საფიქრებელია, ასეთად მიიჩნევა მას ავტორი. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, ვაჟა ამ პოემას არ მიუძღვნოდა, როგორც ამბობდა, „რწმენისა და აზრის კაცს“ – ილია ჭავჭავაძეს, უბრა-



ლოდ, არ აკადრებდა!

აი, ასეთი განსაკუთრებული ნაწარმოებია „ძალიკა ხიმიკაური“, მაგრამ ჩვენთვის ამოუხსნელი მიზეზების გამო ამ პოემას აშკარად მოაკლდა მკვლევართა ყურადღება და ამ მხრივ აქამდე ფართო მსჯელობის საგანი არ გამხდარა. ჩვენ, შეძლებისდაგვარად, შევეცადეთ ამ ხარვეზის შეესებას და აღნიშნული თხზულების პრობლემატიკაზე, მის იდეურ არსზე დროთა განმავლობაში პრესაში რამდენიმე წერილი გამოვაქვეყნეთ. წიგნში განხილულია დიდი ვაჟას პოეტური ოსტატობა, მოცემულია მისი პოემის – „ძალიკა ხიმიკაურის“ მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხებისა და საშუალებების ანალიზი, – აღნიშნა ავტორმა გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტთან“ საუბარში.

ნიშანდობლივია, რომ წიგნის გარეკანზე გამოსახულია ძალიკა ხიმიკაურის ხმალი, რომელიც დაცულია ქალაქ თელავის ისტორიულ მუზეუმში.

თბილისის უნივერსიტეტი 1927 წლიდან

მთავარი რედაქტორი
ნინო კაკულია
მთავარი სამცხალისტი
მაია ტორაძე
ტექნიკური რედაქტორი
ირმა სულიაშვილი

შპრნალისტიკა:
ნატო ობოლაძე
თამარ დადიანი
შურთხია ბეროშვილი

ფოტოკოორდინატორი
გიზო ყუფარაძე
კომპ. უზრუნველყოფა
მიხეილ თვარაძე

რედაქციის წევრები:

მანანა შამილიშვილი,
იაგო კაჭკაჭიშვილი,
ირმა რატიანი,
ირინე დარჩია,
თინათინ ბოლქვაძე,
ვლადიმერ პაპავა,
ეთერ ხარაიშვილი,
ეკატერინე ფირცხალავა,
ნინო გაჩეჩილაძე,
თემურ ნადარეიშვილი,
ლელა ჯანაშვილი,
მაია ივანიძე,
მამუკა მარგველაშვილი,
გია ლობჯანიძე,
ნინო უგრეხელიძე

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზ. 11^ა
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
☎ 577 52 77 73

ვებგვერდი:
gazeti.tsu.ge
ელ.ფოსტა:
nino.kakulia@tsu.ge



gazeti.tsu.ge

გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ თვეში ერთხელ გადის სახით გამოცემა.

ახალი ყოველწლიური ჩვენს ვებ-გვერდს gazeti.tsu.ge

მოგვარდეთ ინფორმაცია გასაუქმებლად და გაეცანით საუნივერსიტეტო სიახლეებს

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე თსუ-ში



ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე მიულოცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოსულ საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეებს, ასევე, ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს თსუ-ს რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ.

თსუ-ს ბიბლიოთეკის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაზე პატარები სხვადასხვა შემეცნებით და გასართობ ღონისძიებაში ჩაერთნენ.

თსუ-ს ეზოში ბავშვებისთვის მოწყობილი სახალისო ქიმიური ცდები, იმიტირებული არქეოლოგიური გათხრები, კალიგრაფიკებისა და სახის მოხატვის კუთხე.

სტუმრების მხიარულ განწყობაზე იზრუნეს ჭოხონელიძეების სტუდიის ბავშვებმა და ანსამბლ „მძნობარის“ პატარა ბალერინებმა.

ღონისძიება გაახალისეს „სანტეს ლოკო-მოკოს“ ანიმატორებმა; ხოლო „საბავშვო კარუსელისა“ და საბავშვო გამომცემლობა „დილას“ წარმომადგენლებმა სხვადასხვა საინტერესო აქტივობებით გაამხიარულეს პატარები.

ასევე, ღონისძიების ფარგლებში პატარებს ბიბლიოთეკაში დახვდნენ თანამედროვე საბავშვო მწერლები, რომლებმაც ბავშვებს წაუკითხეს თავიანთი მოთხრობები.

